

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/1/1537
2023 წლის 22 თებერვალი
ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:

ვასილ როინიშვილი – სხდომის თავმჯდომარე, მომხსენებელი მოსამართლე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი.

სხდომის მდივანი: მანანა ლომთათიძე.

საქმის დასახელება: „შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების, 56² მუხლისა და 71-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 წინადადებების, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან და მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები – ედუარდ მარიკაშვილი და შოთა ქობალია; მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ქრისტინე კუპრავა, რუსუდან მუმლაური და ლევან ღვთაძე; საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ლევან მაისურაძე; ექსპერტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პაატა ტურავა.

I

აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 14 სექტემბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1537) მომართეს „შპს მთავარმა არხმა“, „შპს ტელეკომპანია პირველმა“, „შპს ტელეკომპანია კავკასიამ“, „შპს ფორმულამ“, ირაკლი სალინაძემ, გიორგი ლიფონავამ და ქეთევან დევდარიანმა. №1537 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას გადმოეცა 2020 წლის 18 სექტემბერს. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2021 წლის 11 ივნისს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერით, №1537 კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული. №1537 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2021 წლის 23 და 24 სექტემბერს.

2. №1537 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე და 31¹ მუხლები და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს მაუწყებლის მიერ ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისაგან ბავშვის დაცვის, სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენებისა და პროგრამების სამაუწყებლო ბადეში, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განთავსების ვალდებულებებს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები მაუწყებელს ავალდებულებს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან არასრულწლოვნის დაცვას და უკრძალავს მსგავსი ინფორმაციის შემცველი პროგრამის გადაცემას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა, კანონით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, უნდა განსაზღვროს პროგრამათა კატეგორიები და სამაუწყებლო ბადეში პროგრამათა განთავსებისას იხელმძღვანელოს კანონით დადგენილი დროითი შეზღუდვებით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი აწესრიგებს სამაუწყებლო ბადეში არასრულწლოვნისათვის შეუფერებელი პროგრამის განთავსების



დროით შეზღუდვებს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლი ადგენს სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვნისათვის შეუფერებელი პროგრამების კატეგორიების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. ამავე კანონის 71-ე მუხლის გასაჩივრებული ნორმები კი ითვალისწინებს მაუწყებლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის გამო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ მაუწყებლისთვის შესაბამისი სანქციის დაკისრების შემთხვევებს.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცულია აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მეორე წინადადებების თანახმად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების მიხედვით კი, არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა.

5. №1537 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, მოსარჩელე იურიდიული პირები არიან მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირები, ხოლო მოსარჩელე ფიზიკური პირები წარმოადგენენ ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის პროდიუსერს, რეჟისორსა და სცენარისტს.

6. მოსარჩელე მხარის განმარტებით, კანონმდებელი, სადავო ნორმების საფუძველზე, მაუწყებლის მიერ მის ეთერში პროგრამის გადაცემის ან პროგრამაში მასალის განთავსების შინაარსობრივ რეგულირებას ახდენს ბუნდოვანი, განუჭვრეტელი ტერმინებით. კერძოდ, მოსარჩელე მხარისათვის ბუნდოვანია ბავშვის უფლებათა კოდექსში განმარტებული ტერმინი - ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაცია. მოსარჩელის განცხადებით, მაუწყებლისათვის ასევე შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, ჩაითვლება თუ არა პროგრამა არასრულწლოვნის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის, აგრეთვე მისი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობისა და სოციალიზაციისათვის საზიანოდ. მოსარჩელისათვის განუჭვრეტელია აგრეთვე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით დადგენილ კრიტერიუმებში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც განსაზღვრავს არასრულწლოვნისათვის შეუფერებელი პროგრამის კატეგორიებს.

7. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმები იმდენად ბუნდოვანი და შეფასებითია, რომ კომისიას ნებისმიერ დროს აქვს მაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების ბერკეტი, ხოლო მაუწყებლისთვის შეუძლებელია ნორმის მოქმედების ზუსტი ფარგლების განსაზღვრა, რის გამოც გასაჩივრებულ ნორმებს გააჩნია „მსუსხავი ეფექტი“ მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებაზე.

8. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმები მოსარჩელეებს ართმევს ან/და განსაზღვრული დროით უზღუდავს შესაძლებლობას, მათთვის სასურველი საშუალებით მიიღონ ან გაავრცელონ კონკრეტული შინაარსის მქონე ინფორმაცია. განუჭვრეტელი ნორმების საფუძველზე გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება კი წარმოადგენს ამ უფლების შეზღუდვისათვის კონსტიტუციის მიერ დადგენილი მოთხოვნების დარღვევას. მოსარჩელის განცხადებით, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში შინაარსობრივ რეგულირებას ექვემდებარება გამოხატვის თავისუფლებით დაცული ისეთი კონტენტიც, რომლის შეზღუდვასაც ბავშვთა უფლებების დაცვის ინტერესი ვერ გადაწონის. ამასთან, სადავო ნორმათა ასეთი განუსაზღვრელობა არა მხოლოდ „მსუსხავი ეფექტის“ მატარებელია მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებაზე, არამედ შეიცავს ცენზურის მაკორექტირებელ ეფექტს. იგი მაუწყებლებს აიძულებს, უწყვეტ კოორდინაციაში იყვნენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და, სანქციის შიშით, წინასწარ დააზუსტონ მათ მიერ გადაცემული პროგრამის ან პროგრამაში განთავსებული მასალის შინაარსი.

9. მოსარჩელე მხარე დამატებით განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო ნორმები კომისიას აძლევს განუსაზღვრელ შესაძლებლობას, ფართო ინტერპრეტაციის გზით, მათ შორის, ეთიკურ-მორალურ ჭრილში დაარეგულიროს მაუწყებლის მიერ გადაცემული კონტენტის შინაარსი, იგულისხმება, რომ კანონმდებელმა ბუნდოვანი საკანონმდებლო ნორმების დაწესებით, კომისიაზე მოახდინა გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების არა ტექნიკური საკითხების, არამედ მთლიანი უფლებამოსილების დელეგირება, რაც კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

10. მოსარჩელეების განცხადებით, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, განსაკუთრებით საშიში ხდება მაუწყებლისათვის პირდაპირი ეთერის წარმოება, რომელიც ცოცხალ რეჟიმში ასახავს მიმდინარე მოვლენებს და, პრაქტიკულად, შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, იქნება თუ არა პროგრამაში ასახული არასრულწლოვნისათვის საფრთხის შემცველი და შეუფერებელი ინფორმაცია.

11. მოსარჩელეების განცხადებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადება და ამავე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები ადგენს ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, მაუწყებლის სანქციების ზოგადი წესისაგან განსხვავებულ, უფრო მკაცრ წესს. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სადავო ნორმები არ ითვალისწინებს მაუწყებლის გაფრთხილების ვალდებულებას. უფრო კონკრეტულად,



დარღვევისათვის, პირველ ჯერზე, გათვალისწინებულია ჯარიმა და მაუწყებლისთვის დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულების დაკისრება, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ამავე მუხლებით დადგენილი ვალდებულების დარღვევისას კანონი ითვალისწინებს მაუწყებლისთვის ლიცენზიის მოქმედების შეჩერებას.

12. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელემ ყურადღება გაამახვილა სადავო ნორმების მოქმედებით გამოხატვის თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში გაუმართლებელ ჩარევაზე. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, არსებობდეს გარკვეული შეზღუდვები სამაუწყებლო გადაცემათა ეთერში გასვლის თვალსაზრისით, თუმცა ასეთი შეზღუდვები უნდა პასუხობდეს კანონით მკაცრად და ამომწურავად განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობით, ცალსახად გამოირიცხებოდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ კანონის მათი შეხედულებისამებრ ინტერპრეტაციის საფუძველზე, თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

13. მოსარჩელე მხარე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე.

14. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელთა განმარტებით, კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მათი მოსაზრებით, სადავო ნორმები შინაარსობრივი თვალსაზრისით ნეიტრალურია და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება სრულად ეფუძნება კანონის ფარგლებში ფაქტის სამართლებრივ კონსტატაციას. მოპასუხის წარმომადგენელთა არგუმენტაციით, ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველ ნაწილსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებს არ გააჩნია შედეგობრივად დამოუკიდებელი მოქმედების შინაარსი. შესაბამისად, ზემოხსენებული სადავო ნორმებით არ ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა, რაც ასევე გამორიცხავს გამოხატვის თავისუფლების უფლების საწინააღმდეგო შინაარსის არსებობას. ასევე, მათი განმარტებით, ეს კონკრეტული სადავო ნორმები სრულად პასუხობს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილ განჭვრეტადობის მოთხოვნებს. პარლამენტის წარმომადგენლები ყურადღებას ამახვილებენ კანონმდებლის ნებაზე, რომლის მიხედვით, სადავო ნორმებმა დაადგინა კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და სამაუწყებლო კომპანიების ვალდებულებების მოქმედებათა განსაზღვრული ფარგლები. კანონის სისტემური წაკითხვის შედეგად კი, სადავო ნორმათა არაკონსტიტუციურობის თაობაზე კითხვის ნიშნები, მათი მოსაზრებით, დაუსაბუთებელია და არ არის გასაზიარებელი.

15. მოპასუხის წარმომადგენლებმა ასევე განმარტეს მთელი რიგი საკითხები გამოხატვის საშუალებასთან დაკავშირებით და ხაზი გაუსვეს, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს სამაუწყებლო კომპანიის მეშვეობით ტელევიზიაში გასული გადაცემები და პროგრამები. ამ კუთხით მოპასუხემ ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებებს, რომელთა მიხედვით, დადგენილია, რომ ტელედა რადიოსაშუალებებით გადაცემული მოსაზრებები თუ ინფორმაცია, რომლებსაც ადამიანები იღებენ და ეცნობიან საცხოვრებელი სახლის პრივატულ გარემოში ყველაზე დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოების აზრის ფორმირებაზე. მათი განმარტებით, ტელედა რადიოსაშუალებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიჩნეულია გასართობ საშუალებებად. აქედან გამომდინარე, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი დამოუკიდებელი ინსტიტუტების მეშვეობით გადმოიცემა ინფორმაცია და, მით უფრო, გასართობი პროგრამები, საზოგადოების განწყობა მიმართულია იქითკენ, რომ მოექცეს ამ პროგრამების გავლენის ქვეშ. აქედან გამომდინარე, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა მიუთითა, რომ, მაშინ როდესაც, საქმე ეხება ისეთ მოწყვლად პირთა ჯგუფს, როგორცაა არასრულწლოვნები, ნებისმიერი შეზღუდვის გამართლების შეფასებისას უპირობოდ მნიშვნელოვანია მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.

16. მოპასუხე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე დადგენილ პრაქტიკაზე, რომ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე განხორციელებული შინაარსობრივი რეგულირება ავტომატურად ვერ იქნება არაკონსტიტუციური, არამედ ასეთი საკანონმდებლო სივრცე აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციის სტანდარტებს და კანონმდებელმა მეტი სიცხადითა და სიფრთხილით უნდა განსაზღვროს ნორმის მოქმედების სუბიექტთა წრე, ფარგლები და შინაარსი. აქვე მოპასუხის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სადავო ნორმები სწორედ რომ ფართო შინაარსისაა, თუმცა კანონმდებლის ამგვარი ნება კონსტიტუციის სტანდარტების შესაბამისი სულისკვეთებიდან გამომდინარეობს. მათი დასაბუთებით, კანონმდებლის მიერ ხისტი და ამომწურავი განმარტების შემოღების შემთხვევაში, სადავო ნორმას არ ექნებოდა დასახული ლეგიტიმური მიზნის მიღწევაზე ეფექტიანი გავლენა, უფრო მეტიც, სამართალშემოქმედებაში ნორმის ზედმიწევნითი და ინსტრუქტირების დონეზე გაწერის მეშვეობით, საკანონმდებლო ჩარჩო იძენს ვიწრო განმარტების ფუნქციას, რაც გამორიცხავს სამართლებრივი პრინციპების დაცვის შესაძლებლობასა და მათი აღსრულების ეფექტიანობას.

17. რაც შეეხება მარეგულირებელი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას თვითნებობის



რისკების არსებობას, მოპასუხის წარმომადგენლის მითითებით, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საქმისწარმოება მიმდინარეობს ადმინისტრაციული წესით, რომლის ფარგლებში კოლეგიური ორგანოს მიერ საკითხის გამოკვლევა ხდება საჯარო და ზეპირ სხდომაზე, საჭიროების შემთხვევაში – მოწმეთა/ექსპერტთა/სპეციალისტთა მონაწილეობით. მათი გადაწყვეტილებები კი, საბოლოოდ, ექვემდებარება სამი ინსტანციის სასამართლოს კონტროლს. შესაბამისად, ცალსახად გამოირიცხება კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში თვითნებობისა თუ სუბიექტურობასთან დაკავშირებული რისკები.

18. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოპასუხემ აღნიშნა, რომ ბავშვის/არასრულწლოვნის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სოციალიზაციას, უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანია და არასრულწლოვანთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. მოპასუხემ ასევე იმსჯელა სადავო ნორმების დამატებით ლეგიტიმურ მიზანზე, კერძოდ, იმ სრულწლოვანი მშობლების ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაზე, რომელთაც სურთ, მათთვის ხელსაყრელ გარემოსა და დროში, თავის არასრულწლოვან შვილებთან ერთად, ტელევიზიის მეშვეობით მიიღონ ისეთი სახის ინფორმაცია და უყურონ ისეთ გადაცემებს, რომლებიც საფრთხეს არ შეუქმნის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციური სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ისინი ასევე მიუთითებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

20. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით მოწვეულ იქნა საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი – საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ლევან მაისურაძე, რომელმაც წარმოადგინა საჯარო დაწესებულების პოზიცია პრაქტიკაში სადავო ნორმათა მოქმედების თაობაზე. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მარეგულირებელ ორგანოში ჯერჯერობით არ არსებობს მდიდარი პრაქტიკა სადავო ნორმებიდან გამომდინარე ყველა კრიტერიუმის განმარტებასთან მიმართებით. თუმცა კომუნიკაციების ეროვნული კომისია მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით ახდენს გამოვლენილი სამართალდარღვევისთვის ნორმის შეფარდებას და ფაქტის სამართლებრივ კონსტატაციას, რა დროსაც ადგენს კანონიდან გამომდინარე შესაბამის სტანდარტებს. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭება არ წარმოადგენს კონსტიტუციასთან შეუსაბამო აქტს, პირიქით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტით განმტკიცებულია მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობის გარანტიები, რაც, დამატებით, მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დაცვის მიზნით, კანონით არის გარანტირებული.

21. წარმომადგენელმა ლევან მაისურაძემ აგრეთვე განმარტა, რომ, ზოგადად, კომუნიკაციების ეროვნული კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ხშირად მიმართავს ამა თუ იმ სფეროს ექსპერტებს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის საკითხი ექსპერტულ ცოდნას მოითხოვს და კომისია თავად ვერ ახერხებს საკუთარი ძალებით ამ საკითხის გადაწყვეტას. წარმომადგენლის განმარტებით, კომისია კანონით გათვალისწინებული სპეციალიზებული ორგანოა, კომისიის ფორმირების წესში განსაზღვრულია კომისიის წევრთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კომისიის წევრებს წარმოადგენენ ჟურნალისტიკისა და მედიის სფეროს წევრები, რომელთათვის მედიის სფეროში მოქმედი სტანდარტები უცხო არ არის. შესაბამისად, ისინი, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, დაუბრკოლებლად ახერხებენ ასეთი კატეგორიის სამართალდარღვევების შეფასებას. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც კომისიის წევრებისა და აპარატისთვის რთული ამოცანა იქნება შეფასებითი კატეგორიის შესაბამისობა კონკრეტულ პროგრამასთან, კომისია უფლებამოსილია სხვა კონკრეტული წარმოების პროცესში მიიღოს გადაწყვეტილება ექსპერტების დახმარების მიღების მიზანშეწონილობაზე.

22. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კომისია კანონმდებლობის განმარტების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულება დამოუკიდებლად აღსრულებადი არ არის და მაუწყებლის ეს ზოგადი ვალდებულება მის ეთერში გასაშვებ პროგრამებთან მიმართებით დაკონკრეტებულია ნიშანდებების მოთხოვნითა და წყალგამყოფების არსებობით, რომლებიც „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით არის განსაზღვრული. შესაბამისად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით, როგორც ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველ ნაწილს, ასევე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებს, დამოუკიდებელი შინაარსი არ გააჩნია.

23. მაუწყებლისთვის ლიცენზიის შეჩერებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის



71-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში ამ კანონის 56¹ ან 56² მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელს უჩერდება ლიცენზიის მოქმედება. თუმცა აქვე დასძინა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, ტელემაუწყებლობის სფეროში ლიცენზირება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი აღარ არსებობს, ვინაიდან მაუწყებლობა გადავიდა ციფრულ მაუწყებლობაზე და სამაუწყებლო ტელემაუწყებელი ექვემდებარება მხოლოდ ავტორიზაციას. რადიომაუწყებლობას კი სამაუწყებლო სიხშირეები (არხები) განესაზღვრება კერძო ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიით და სწორედ ამიტომ ისევ ლიცენზირებას ექვემდებარება. კომისიის მიერ გაკეთებული განმარტების შესაბამისად, ლიცენზიის შეჩერების ეს კონკრეტული ჩანაწერი ტელემაუწყებლების მიმართ, იმ პირობებში, როდესაც მათ სამაუწყებლო ავტორიზაცია გააჩნიათ, აღნიშნული ნორმა ვერ გამოიყენება და, შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის საფუძველზე, კომისიამ გააგრძელა სტანდარტულად ჯარიმის გამოყენება. ამასთან, კომისიას გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, რომლის ფარგლებში შეუძლია დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ავტორიზაციის შესაჩერებლად. ასეთი იმპერატიული დანაწესი კი, როგორც ლიცენზიის შეჩერებაა, ამ მიმართულებით არ არსებობს.

24. მარეგულირებელი კომისიის წარმომადგენლის მოსაზრების მიხედვით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ამ კანონის 56¹ ან 56² მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა და შესაბამისი დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება, თუ მისი აღმოფხვრა, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია. ამ საკითხთან დაკავშირებით, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში საქართველოს 2020 წლის 21 მაისის №5921 კანონის საფუძველზე ცვლილების განხორციელებისას, კომისიის საჯაროდ გაცხადებული პოზიცია იყო ის, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, მაუწყებლისთვის დასაკისრებელი სანქციის შერჩევისას კომისიას ჰქონოდა მეტი დისკრეცია, ვიდრე ბლანკეტურად მხოლოდ ჯარიმის დაკისრების ვალდებულება.

25. საჯარო დაწესებულების წარმომადგენელმა, თავისი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

26. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, ექსპერტად მოწვეულმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა პაატა ტურავამ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება გასაჩივრებული ნორმების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობდა ბავშვის უფლებათა კოდექსის საკანონმდებლო პაკეტის შემუშავებაში და არის კანონპროექტის თანაავტორი. მან დააფიქსირა პოზიცია სადავო ნორმით გათვალისწინებული ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებით დაცული სამართლებრივი სიკეთის, დაცვის საგნის, მიზნისა და გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. კერძოდ, ექსპერტის განმარტებით, კანონშემოქმედების სპეციფიკა არის ის, რომ კანონი არის ზოგად-აბსტრაქტული, მომავალზე და პირთა განსაზღვრულ წრეზე ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, კანონმდებელი, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, იყენებს ისეთ განუსაზღვრელ ცნებებს, რომელთაც აქვთ შეფასების განუსაზღვრელი სივრცე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს ის, რომ მარეგულირებელ კომისიას წარმოექმნება მაღალი სტანდარტით დასაბუთების ვალდებულება. ეს სტანდარტი კი, თავის მხრივ, მიემართება ბავშვის უფლებათა კოდექსის ძირითად არსსა და მიზანს. ექსპერტის განმარტებით, ბავშვის უფლებათა კოდექსის ძირითადი კონცეფციაა სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ბავშვის ინტერესების განსაზღვრასა და დაცვაში. აგრეთვე, ამავე კოდექსით, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აქვს შეფასების თავისუფალი სივრცე და მოქმედებს ზოგადი მეთოდით - ინტერესთა შეპირისპირებით, რომლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

27. ექსპერტის მოსაზრებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ არის შეზღუდული მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლებით. კომისია გადაწყვეტილების მიღების შედეგამდე მიდის ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების გზით. მაუწყებლის მიერ კანონით დადგენილი ნორმების უგულვებელყოფა კი წარმოადგენს სამართალდარღვევას. მართალია, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი სპეციალიზებული კანონია, თუმცა მოცემულ შემთხვევაში არაფერი გამორიცხავს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის (დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა) გამოყენების შესაძლებლობას, როგორც ზოგადი კანონისას.

28. №1537 კონსტიტუციურ სარჩელზე შპს „თბილისის თავისუფალმა უნივერსიტეტმა“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოუდგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, სადავო ნორმები არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლითა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტებს. კერძოდ, სასამართლოს მეგობარს მიაჩნია, რომ სადავო ნორმები მარეგულირებელი კომისიის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს ქმნის. სადავო ნორმები არ იძლევა დაცვის



საშუალებას კომუნიკაციების ეროვნული კომისიისგან და მეტიც, მას ეძლევა საშუალება, ფართოდ, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რამ შეიძლება შეუშალოს ბავშვის სულიერ თუ ინტელექტუალურ განვითარებას ხელი ან, მაგალითად, ძალადობის ამსახველი რომელი სცენა შეიძლება იქნეს გამართლებული კონტექსტით და რომელი არა. სასამართლოს მეგობრის პოზიციით, მოწესრიგება, რომელიც საჯარო მოხელეებს უფლებაში თვითნებური ჩარევის უფლებას აძლევს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, ვერ ჩაითვლება განჭვრეტადად.

29. №1537 კონსტიტუციურ სარჩელზე წარმოდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით, მის მიერ წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლებრივი გადაწყვეტილებებიდან და ლიტერატურიდან გამომდინარე, არ დგინდება პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი სატელევიზიო კონტენტის ნახვასა და ბავშვის ქმედებას შორის, ასევე არც ბავშვის ფსიქოლოგიურ განვითარებას შორის. კონსტიტუციაა ის უზენაესი კანონი, რომლითაც გარანტირებულია ბავშვის უფლებები. ამასთანავე, მშობელს გააჩნია ექსკლუზიური კომპეტენცია იმისა, რომ განსაზღვროს, თუ რას უყურებს მისი შვილი. შესაბამისად, რადგან ლეგიტიმური მიზანი მიიღწევა კონსტიტუციით, აღნიშნული სადავო ნორმები სატელევიზიო კონტენტის გამოყენების შესახებ სრულიად გამოუსადეგარია. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მეგობარი ასკვნის, რომ სატელევიზიო კონტენტის რეგულირება *a priori* არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საშუალებას. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმების საკმაოდ ფართო შინაარსიდან გამომდინარე, ამკარაა, რომ კანონმდებლობით იზღუდება ისეთი პროგრამები, რომლებიც ბავშვის უფლებებს საერთოდ არ უქმნის საფრთხეს. ასეთი მოწესრიგება კი, თავისთავად, გულისხმობს იმას, რომ სადავო ნორმები არ არის გამოსადეგი და პროპორციული საშუალება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

30. სასამართლოს მეგობარი, თავისი პოზიციის გასამყარებლად, უთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. სასამართლოს მეგობარი თავის პოზიციისაში მრავლად ასახელებს საერთაშორისო-სამართლებრივ ინსტრუმენტებს და აანალიზებს საქართველოს კანონმდებლობას.

II

სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის არსებითად გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გამორკვევა: სახეზეა თუ არა კანონმდებლის მიერ მარეგულირებელი ორგანოსთვის შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების მინიჭება და რამდენად აკმაყოფილებს ასეთი რეგულირება კონსტიტუციურ სტანდარტებს; ხორციელდება თუ არა ბავშვის უფლებათა კოდექსისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმთითებელი ნორმებით მაუწყებლების კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა და ასეთის არსებობის შემთხვევაში რა ღირებულ საჯარო ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება იგი; რა არის კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით გათვალისწინებული შესაფასებელი მოცემულობა და რამდენად განჭვრეტადია იგი; კონსტიტუციური შეზღუდვის არსებობისას რომელი სამართლებრივი ინტერესი უპირისპირდება ბავშვის/არასრულწლოვნის დაცვას ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სოციალიზაციას; ტელემაუწყებლობის ზემოქმედება არასრულწლოვანზე და წინასწარი შინაარსობრივი შეზღუდვის გამიჯვნა „ცენზურისაგან“ [არის თუ არა ასეთი პრევენცია „ცენზურა“ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით]; აკმაყოფილებს თუ არა სადავო ნორმებით გათვალისწინებული სანქციები განჭვრეტადობისა და პროპორციულობის კონსტიტუციურ წინაპირობებს; ვრცელდება თუ არა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციები პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაზე და რამდენად აკმაყოფილებს კონსტიტუციურ სტანდარტებს მაუწყებლისთვის სანქციის დაკისრება პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გავრცელებული ისეთი ინფორმაციის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს.

2. ზემოხსენებული საკითხების მოცულობის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, თითოეული საკითხი განიხილოს ცალ-ცალკე. ამასთანავე, განხილული საკითხები მიუსადაგოს სადავო ნორმებს მათი შინაარსიდან გამომდინარე.

3. მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული ნორმები არსებითად განსახილველად არის მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან და მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, უპირველესად,



აუცილებელია კონსტიტუციურ უფლებათა დაცული სფეროების განმარტება.

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების, მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული სფეროები

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს აზრის და მისი გამოხატვის თავისუფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება ადამიანის არსებობის თანმდევი, განუყოფელი ელემენტია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მასიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

5. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას: „გამოხატვის თავისუფლების უფლება დემოკრატიული საზოგადოების არსებობის, მისი სრულფასოვანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. აზრისა და ინფორმაციის შეუფერხებელი გავრცელება უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საჯარო და ინფორმირებულ მსჯელობას, შესაძლებელს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს ... დემოკრატიული პროცესის მამოძრავებელია ის ძალა, სულიერი გავლენა, რომელიც აზრისათვის არის დამახასიათებელი. კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-13).

6. გამოხატვის თავისუფლება იცავს „ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას, ... მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 11 აპრილის №1/1/468 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28).

7. ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებულია არა მხოლოდ პირის უფლება, თავისუფლად გაავრცელოს აზრი, ინფორმაცია, შეხედულებები, არამედ საკუთრივ ის საშუალებებიც, რომლებიც აზრის, შეხედულებების გამოთქმის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისათვის არის აუცილებელი. აღნიშნულ საშუალებებს განეკუთვნება, მათ შორის, ბეჭდვითი მედია, სამაუწყებლო საშუალებები, მათ შორის, რადიომაუწყებლობა და ტელემაუწყებლობა, აგრეთვე ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად მიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

8. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლების ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ინფორმაციის თავისუფალი გავრცელება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების მეშვეობით, რაც უმთავრესად, სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხორციელდება. ამდენად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საზოგადოებისა და ინდივიდების მიერ ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, აზრის ფორმირების ერთ-ერთი ცენტრალური, ფართომასშტაბიანი და ეფექტიანი პლატფორმაა. სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შეუფერხებელი, ავტონომიური, ჯეროვანი და დამოუკიდებელი საქმიანობა განაპირობებს საზოგადოებისა და თითოეული ინდივიდის მიერ აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკულ და ეფექტიან რეალიზაციას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-71,72). ამასთან, გამოსახულებისა და ხმოვანი გამოხატვის შესაძლებლობების გამო, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია აუდიოვიზუალურ მედიას. შესაბამისად, აუცილებელია, აღნიშნული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის განხორციელებისათვის საკმარისი გარანტიების შექმნა.



9. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სათანადო ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზოგადოების ინფორმირებულობის დონე, თითოეული ადამიანის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლებით ეფექტიანი სარგებლობა და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების დემოკრატიული განვითარება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლებაში ჩაურევლობა არა მხოლოდ მათი მესაკუთრეების საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული უფლების ნაწილია, არამედ განეკუთვნება საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „„მპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-73). აღნიშნულ არგუმენტაციას უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩენს თავად საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ „მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია...“

10. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებაში მოიაზრება მათი ინსტიტუციური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობა, სახელმწიფოსაგან მათი თავისუფლება იმ მნიშვნელოვანი როლის განხორციელებისას, რომელიც მედიას ეკისრება ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება იცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ძირითად უფლებასა და შესაძლებლობას, იფუნქციონირონ მთავრობის კონტროლის, შეზღუდვებისა და ცენზურის გარეშე, დროულად მოიძიონ და მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია და იდეები საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამდებობის პირების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. კონსტიტუციის დასახელებული ნორმა ადგენს წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რათა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა კონსტიტუციური საჯარო წესრიგით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეასრულონ თავიანთი ფუნქცია საჯარო კომუნიკაციის პროცესში – განახორციელონ „საზოგადოებრივი დარაჯის როლი“, ხელი შეუწყონ განსხვავებული იდეების ცირკულაციას, საზოგადოებრივი პრობლემების საამკარაოზე გამოტანას და მათზე საჯარო დისკუსიებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, უწინარესად, გულისხმობს სწორედ მათ ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ თავისუფლებას, მათ შესაძლებლობას, გარე ჩარევისაგან დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები ყველა შესაბამის საკითხზე, რაც კი მათ საქმიანობას შეეხება, დაწყებული მასმედიის საშუალების დაფუძნებიდან და მისი შიდა ორგანიზაციული საკითხებიდან თვითრეგულაციის ჩათვლით, დამთავრებული ინფორმაციის მოპოვებითა და გავრცელებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„მპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18).

11. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება, კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების მიზნებისათვის, არ გულისხმობს და არ მოიცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას, არ ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციით დადგენილ შეზღუდვებს, რომლებიც შეეხება, მათ შორის, ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების შინაარსობრივ მხარეს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„მპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19).

12. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სამართლებრივი წესრიგი, რომელშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაცული იქნებიან იმგვარი ვალდებულებების შესრულებისგან, რომლებიც დაუსაბუთებლად შეზღუდავენ მათ მიერ ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობას და უარყოფით გავლენას მოახდენენ მათ მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული უფლებებით სრულყოფილ სარგებლობაზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, რეგულაცია, რომელიც აფერხებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სამაუწყებლო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას, ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებითა და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებებს, ხოლო იმისათვის, რათა მოქმედებაში მოვიდეს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება, აუცილებელია, რომ სადავო ნორმები ქმნიდეს დაბრკოლებებს უშუალოდ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებისათვის.

13. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე უნდა დადგინდეს, მაუწყებლებისთვის წინასწარ დადგენილი შეზღუდვები *a priori* წარმოადგენს თუ არა სახელმწიფოს მხრიდან გაუმართლებელ ჩარევას ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გავრცელების თავისუფლებაში და უთანაბრდება თუ არა ასეთი ჩარევა ცენზურის ტოლფას ქმედებას („ცენზურასთან“ დაკავშირებით სასამართლო ცალკე იმსჯელებს). მოსარჩელეთა განცხადებით, სადავო ნორმათა ასეთი განუსაზღვრელობა არა მხოლოდ „მსუსხავი ეფექტის“ მატარებელია მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებაზე, არამედ შეიცავს ცენზურის მაკორექტირებელ ეფექტს. შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს მოსარჩელის აპელირებას იმასთან დაკავშირებით, სადავო ნორმები მაუწყებლებს კონსტიტუციურად ავალდებულებს თუ არა, წინასწარ



განსაზღვრონ მათ მიერ გადაცემული პროგრამის ან პროგრამაში განთავსებული მასალის შინაარსი.

2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადებით დაცული სფერო

14. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. დასახელებული დებულება თავის თავში აერთიანებს მრავალ უფლებრივ კომპონენტს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის პირის დამნაშავედ ცნობისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების კონსტიტუციურ საფუძვლებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადება „ადგენს პირის პასუხისმგებლობაში მიცემის საფუძვლებს, განამტკიცებს გარანტიას, რომ ნებისმიერი დანაშაული და სასჯელი მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სისხლის სამართლის კანონში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-38).

15. პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება კონსტიტუციის შესაბამისი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან იცოდა ან შეეძლო წინასწარ განესაზღვრა კანონით აკრძალული ქმედების არსი და სამართალდარღვევის შედეგები. პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმათა განსაზღვრულობის მოთხოვნის მთავარი დანიშნულებაა, რომ კანონის ადრესატმა შეძლოს მისი შინაარსის სწორი აღქმა, აკრძალვის იდენტიფიცირება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა. ამ მიზნის მისაღწევად კი „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36). პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების ხარისხობრივი სტანდარტები ქმნის გარანტიას, რომ პირმა შეძლოს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარება მისი სურვილების შესაბამისად. მკაფიოდ განსაზღვრული კანონმდებლობის პირობებში პირს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი ქცევა შეუსაბამოს კანონის მოთხოვნებს, არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედება და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა.

16. ამა თუ იმ ქმედების დასჯადად მიჩნევა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაწესება ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური ფორმაა. სწორედ ამიტომ „...აუცილებელია, რომ პირის ქცევის კორექტირება, აკრძალვის დაწესება და პასუხისმგებლობის დაკისრება მოხდეს მხოლოდ სათანადო კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი კანონის საფუძველზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

17. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღება, როგორცაა ქმედების დასჯადად გამოცხადება და ამ ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება, უნდა ხდებოდეს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – საქართველოს პარლამენტის მიერ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმაღამე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37). საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ პასუხისმგებლობის საფუძვლის განსაზღვრა არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალური კუთხით კანონის მიღებას, თავად კანონი უნდა იყოს საკმარისად განჭვრეტადი და აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს. ამის საპირისპიროდ, ბუნდოვანი კანონმდებლობა ნორმის გამოყენებელ სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი შეხედულებისამებრ, სათანადო ნორმატიული ბოჭვის არარსებობის პირობებში განსაზღვროს აკრძალული ქმედების შემადგენლობა. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ქმედების დასჯადად გამოცხადების საკითხი წყდება არა კანონმდებლის მიერ, არამედ – ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში – სამართალშემფარდებლის მიერ, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციურ პრინციპს. პასუხისმგებლობის მხოლოდ მკაფიო და განსაზღვრული კანონმდებლობით დადგენის კონსტიტუციური მოთხოვნა უზრუნველყოფს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციასა და ძირითადი უფლებების სათანადოდ დაცვას.

18. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს იმგვარი საკანონმდებლო სისტემის შექმნას, რომელიც პირს იცავს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან. ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის ნოყიერ ნიადაგს თვითნებობისათვის, შესაბამისად, კანონმდებელმა მაქსიმალურად მკაფიო, განსაზღვრული ნორმატიული რეგულირებით უნდა შეამციროს თვითნებობის რისკები სამართალშემფარდების პროცესში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“



საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-29). საკანონმდებლო დეფინიციის არარსებობამ კი შესაძლოა, მართლაც წარმოშვას ნორმის არაერთგვაროვანი განმარტების რისკი. შესაბამისად, მსგავსი ტიპის ტერმინები, რომლებიც იმთავითვე არ არის ცალსახა და მკაფიო ნორმის ადრესატისთვის, საჭიროებს სამართლებრივ განსაზღვრებებს და მისი შეფასების კრიტერიუმების კანონითვე დადგენას.

19. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ერთი კონტექსტი: როდესაც უშუალოდ იმ ნორმაში, რომელიც შემდგომში სასამართლომ უნდა გამოიყენოს, არ არის გადმოცემული ამა თუ იმ ტერმინის განმარტება, საერთო სასამართლო შეიძლება დაეყრდნოს ამავე ტერმინის განმარტებას სპეციალურ ან მომიჯნავე კანონმდებლობაში, რაც, ჩვეულებრივ, დასაშვებია, თუკი შესაბამისი ტერმინის ავტონომიური განმარტების აუცილებლობა არ არსებობს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №1/8/926 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29).

20. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ საკანონმდებლო ნორმამ დააკმაყოფილოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ხარისხობრივი სტანდარტები, მნიშვნელოვანია, ადრესატმა შეძლოს მისი სწორად აღქმა, ნორმა იძლეოდეს მკაფიო შეტყობინებას აკრძალული ქმედების ფარგლებისა და შინაარსის, ასევე სამართლებრივი შედეგების თაობაზე. სწორედ ამგვარად ჩამოყალიბებული ნორმების პირობებშია შესაძლებელი, კანონმა შეასრულოს საგარანტიო ფუნქცია, პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის შესახებ გადაწყვეტილება არსებითად მიიღოს საკანონმდებლო ორგანომ და თავიდან იქნეს აცილებული სამართალშემფარდებელთა თვითნებობა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9).

21. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა, რიგ შემთხვევებში, ვერ იქნება ინდივიდუალიზებული, დროსა და სივრცეში იზოლირებული ქცევის წესი. ამგვარ ნორმათა მიზანი მისი ხანგრძლივ პერსპექტივაში გამოყენება და ურთიერთობათა ფართო და მუდმივად განვითარებადი სპექტრის მოცვაა. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები გამოიყენება დინამიკური, წინასწარ არაიდენტიფიცირებადი ურთიერთობების დასარეგულირებლად. ...კანონმდებლისთვის მაქსიმალურად დეტალიზებული, ხისტი მოწესრიგების შემოღების ვალდებულების დადგენა შეიცავს ამა თუ იმ საზოგადოებრივად საშიში ქმედების დაუსჯელად დატოვების საფრთხეს. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელს არ ექნება შესაძლებლობა, ესა თუ ის სამართლებრივი სიკეთე დაიცვას ზოგადი აკრძალვების დაწესებით, ყოველთვის იარსებებს საფრთხე, რომ ინდივიდები მოძებნიან გზას ხსენებული სამართლებრივი სიკეთის კანონით აუკრძალავი ფორმით დასაზიანებლად... აღნიშნულიდან გამომდინარე, არარეალისტური იქნება, კანონმდებელს მოეთხოვოს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების კონკრეტიზაციის ძალიან მაღალი ხარისხით ჩამოყალიბება. დასაშვებია, პასუხისმგებლობის დამდგენი ისეთი ზოგადი საკანონმდებლო ნორმის მიღება, რომელიც გონივრულობის ფარგლებში ექვემდებარება განმარტებას და, ამ გზით, უზრუნველყოფს მისი მოქმედების სფეროში მოქცეული დაცული სიკეთის ხელყოფის ყველა შესაძლო შემთხვევის დასჯადობას (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12).

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, ექცევა თუ არა გასაჩივრებული, როგორც ზოგადი ვალდებულების დამდგენი, ასევე სანქციის განმსაზღვრელი ნორმები საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში და აკმაყოფილებს თუ არა განჭვრეტადობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

3. სახეზეა თუ არა კანონმდებლის მიერ მარეგულირებელი ორგანოსთვის შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების მინიჭება და რამდენად აკმაყოფილებს ასეთი რეგულირება კონსტიტუციურ სტანდარტებს

23. მოსარჩელე მხარის წარმომადგენელთა აპელირებით, კანონმდებელი, სადავო ნორმების საფუძველზე, მაუწყებლის მიერ მის ეთერში პროგრამის გადაცემის ან პროგრამაში მასალის განთავსების შინაარსობრივ რეგულირებას ახდენს ბუნდოვანი, განუჭვრეტელი ტერმინებით. მოსარჩელის განცხადებით, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, შინაარსობრივ რეგულირებას ექვემდებარება გამოხატვის თავისუფლებით დაცული ისეთი კონტენტიც, რომლის შეზღუდვასაც ბავშვთა უფლებების დაცვის ინტერესი ვერ გადაწონის. კანონმდებელმა ეთიკურ-მორალურ ჭრილში დაარეგულირა მაუწყებლის მიერ გადაცემული კონტენტის შინაარსი, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა კომისიაზე მოახდინა გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების არა ტექნიკური საკითხების, არამედ მთლიანი უფლებამოსილების დელეგირება, რაც კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

24. მოპასუხის წარმომადგენელთა მტკიცებით, სადავო ნორმები აკმაყოფილებს როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, ისე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილებით საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“ დადგენილ სტანდარტებს. მათი პოზიციით, სადავო ნორმები, მიუხედავად იმისა, რომ,



გარკვეულწილად, მოითხოვს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შინაარსობრივი კონტენტის გათვალისწინების ვალდებულებას, შინაარსობრივად თვალსაზრისობრივად ნეიტრალურია, ვინაიდან კანონმდებელმა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას კი არ მიანიჭა შინაარსობრივი რეგულირების დადგენის უფლებამოსილება, არამედ კანონით ნათლად განსაზღვრულ ფარგლებში ასეთი რეგულირების აღსრულების მექანიზმით აღჭურვა იგი.

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების კონსტიტუციის დასაშვებ ფარგლებთან დაკავშირებით განმარტა, რომ „...გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, შინაარსობრივი რეგულირების შემოღების გზით, ამ უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფორმაა. იმის სავალდებულოდ განსაზღვრა, თუ რა შინაარსის აზრის/ინფორმაციის გავრცელება არის დაუშვებელი, გულისხმობს პირთა გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას. დემოკრატიული სახელმწიფო უდავოდ გულისხმობს თავისუფალ საზოგადოებას, თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეს, გარემოს, სადაც ყველასთვის უზრუნველყოფილია აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, თავისუფალი პაექრობა. იქ, სადაც თავისუფალი სიტყვა უზრუნველყოფილი არ არის, არ არის სივრცე განვითარებისთვის, თავისუფლებისთვის. ამგვარად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, კერძოდ კი, მისი შინაარსობრივი რეგულირება, იმგვარი საკითხია, რომლის თითოეული ასპექტის განსაზღვრა მაღალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36).

26. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „გამოხატვის შინაარსობრივ რეგულირებასთან დაკავშირებით სტანდარტების დადგენა არ საჭიროებს შეცვლილ გარემოებებზე მუდმივ მისადაგებას. შესაბამისად, უფლებამოსილების დელეგირება ვერ იქნება განხილული საკითხის ეფექტიანი რეგულირების მიზნით განხორციელებულ ქმედებად. დასახელებულ შემთხვევაში სწორედ პარლამენტია ის ლეგიტიმური ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციური სტანდარტების დადგენა. ამავდროულად, აღნიშნული სტანდარტები უნივერსალური ხასიათისაა, არ მოითხოვს შეცვლილ გარემოებებზე მორგებას, ხშირ მოდიფიკაციას და უფლების შეზღუდვის დასაშვები ფარგლების განსაზღვრა განუყოფლად უკავშირდება მყარი კონსტიტუციური სტანდარტების დადგენას, რომელთა ცვლილებაც ასევე საკანონმდებლო დონეზე გამჭვირვალე საკანონმდებლო პროცედურით გადასაწყვეტი საკითხია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37).

27. ამდენად, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება პარლამენტის უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებაა და ამავე დროს, არ მიეკუთვნება საკითხს, რომელიც თავისი ბუნებით მარტივი საკანონმდებლო მექანიზმის ფარგლებში მოწესრიგების პრაქტიკულ საჭიროებას განაპირობებს. უფრო მეტიც, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი მხარე ანუ იმის განსაზღვრა, რა ტიპის აზრის გამოთქმა და ინფორმაციის გავრცელებაა დასაშვები, ისეთი საკითხია, რომელიც სტაბილურ საკანონმდებლო გარანტიებს საჭიროებს. ამგვარად, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირების უფლებამოსილების სხვა ორგანოსათვის გადაცემა შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი უფლებამოსილების დელეგირებად. გამოხატვის თავისუფლების შინაარსთან დაკავშირებული შეზღუდვების განსაზღვრა და მათი ცვლილება არ უნდა იყოს დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ნებაზე. მხოლოდ საქართველოს პარლამენტია აღჭურვილი კონსტიტუციური მანდატით, მიიღოს გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ფუნდამენტურ გავლენას ახდენს კონსტიტუციურ უფლებებზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38).

28. ამგვარად, დაუშვებელია, გამოხატვის თავისუფლების შინაარსობრივი შეზღუდვის დადგენა, ამ უფლებით სარგებლობა და მისი დაცვის პერსპექტივები საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ან/და საქართველოს პარლამენტის გარდა ნებისმიერი სხვა ორგანოს მიხედულების ფარგლებზე იყოს დამოკიდებული და უფლებაში ჩარევის სტანდარტები ამ ორგანოების პოზიციის, ფასეულობების, იდეების შესაბამისად ყალიბდებოდეს. ამასთანავე, ბუნებრივია, სამართლებრივი მოწესრიგების კანონმდებლის მიერ დელეგირება არ გულისხმობს დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ორგანოსთვის უპირობო თავისუფლების მინიჭებას. კონსტიტუციის ძირითადი იდეა ადამიანის უფლებების დაცვაა და, შესაბამისად, შეუძლებელია, იგი ორგანოს ანიჭებდეს უპირობო ან/და აბსოლუტურ თავისუფლებას იმ ურთიერთობების დარეგულირების პროცესში, რომლებიც ეხება კონსტიტუციით განმტკიცებულ უმთავრეს ღირებულებებს – ადამიანის ძირითად უფლებებს (იხ., mutatis mutandis საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25). შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ორგანოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, არაგონივრულად, არაპროპორციულად არ შეზღუდოს ესა თუ ის უფლება. თუმცა იმის მიუხედავად, რომ არსებობს შესაძლებლობა, შემოწმდეს მიღებული თითოეული



გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, საფუძველშივე პრინციპულად არასწორია, ამგვარი მნიშვნელობის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდეს სათანადო საკანონმდებლო კომპეტენციის არმქონე ორგანო.

29. ამავედროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, „მედიაპლურალიზმის დაცვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვის თავისუფლების რეალიზების, მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა უფლებების დასაცავად შექმნილი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ინსტიტუციური და ფინანსური დამოუკიდებლობა გარანტირებულია კანონით“. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. ამავე მუხლის პირველი პუნქტის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობას არეგულირებს კომისია.

30. ამრიგად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უაღრესად მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში მომხმარებელთა და მეწარმეთა ინტერესების დაცვა აკისრია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ექვემდებარება არ აყენებს კომისიის ლეგიტიმურობასა და მის მიერ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების სათანადოდ შესრულების მნიშვნელობას. თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება გულისხმობს აზრის/ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას მისი შინაარსის გათვალისწინებით. ინფორმაციის შინაარსობრივი ფილტრაცია და იმის განსაზღვრა, თუ რომელი ინფორმაციის/აზრის გავრცელების შეზღუდვა არის კონსტიტუციურად გამართლებული, კანონის მიღებისათვის დამახასიათებელი გამჭვირვალე პროცედურის საფუძველზე, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ უნდა ხდებოდეს და ამ საკითხთან დაკავშირებით, ნებისმიერი სხვა ორგანოს შემოთავაზებული სტანდარტები, თავისთავად, არაავტორიტეტულია.

31. მნიშვნელოვანია, ასევე მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმები არა მხოლოდ განსაზღვრავს მაუწყებლებისა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვალდებულებებს, არამედ - ადგენს დაუშვებელ/შეზღუდული ფორმით დასაშვებ გადაცემათა/პროგრამათა გავრცელების აღმოფხვრის აღსრულების წესებსაც. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმებით დადგენილია შინაარსობრივი რეგულირების დამდგენი შეზღუდვის აღსრულების წესი. კერძოდ, სადავო ნორმებით შეზღუდულია დაუშვებელი/შეზღუდული ფორმით დასაშვები გადაცემების/პროგრამების გავრცელება, ასევე განსაზღვრულია გავრცელების შეზღუდვის და მასთან [შეზღუდვასთან] დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელეთა მიერ არ არის გასაჩივრებული კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის სპეციალიზებული უფლებამოსილების მინიჭების, ცალკე აღებული, კონსტიტუციურობის საკითხი, სასამართლო ასკვნის, რომ კანონმდებლის მიერ კომისიისთვის დაუშვებელ/შეზღუდული ფორმით დასაშვებ გადაცემათა/პროგრამათა გავრცელების აღმოფხვრის აღსრულების მექანიზმები კონსტიტუციურ კრიტერიუმებთან შესაბამისობით არის გადაცემული.

4. ხორციელდება თუ არა ბავშვის უფლებათა კოდექსისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი მიმთითებელი ნორმებით მაუწყებლების კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, რა ღირებულ საჯარო ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება იგი

33. ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვა. მაუწყებელი ასევე ვალდებულია გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები ამ პროგრამების კატეგორიების დადგენის მიზნით და განათავსოს ეს პროგრამები სამაუწყებლო ბადეში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით“. ხოლო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის სადავო პუნქტები მაუწყებელს ავალდებულებს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან არასრულწლოვნის დაცვას და უკრძალავს მსგავსი ინფორმაციის შემცველი პროგრამის გადაცემას. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მაუწყებელმა, კანონით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად უნდა განსაზღვროს პროგრამათა კატეგორიები და სამაუწყებლო ბადეში პროგრამათა განთავსებისას იხელმძღვანელოს კანონით დადგენილი დროითი შეზღუდვებით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტი აწესრიგებს სამაუწყებლო ბადეში არასრულწლოვნისათვის შეუფერებელი პროგრამის განთავსების დროით შეზღუდვებს. შესაბამისად, ზემოხსენებული სადავო ნორმები ადგენს მაუწყებლის ზოგად ვალდებულებებს, რომლის რაციონალური არსი მდგომარეობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს



კანონის 56 მუხლით გათვალისწინებული ნიშანდებებითა და წყალგამყოფებით არასრულწლოვანთა დაცვაში.

34. სადავო ნორმების ანალიზის, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მხარეთა მიერ დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერებისა და მათი შეფასების შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული არასრულწლოვანის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციისგან დაცვის ვალდებულებების ფარგლები და შინაარსი ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების გათვალისწინებით, დაკონკრეტებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლში. სწორედ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის მე-5 პუნქტი და 56² მუხლი შეიცავს საკითხის დეტალურ რეგულაციას არასრულწლოვანთა ასაკობრივი კატეგორიებისა და სამაუწყებლო პროგრამების ეთერში განთავსების დროის გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმები დეტალურად აწესრიგებს რომელი პროგრამა განეკუთვნება 7, 12, 15 და 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისთვის შეუფერებელ პროგრამებს და დღის რომელ მონაკვეთშია დასაშვები მათი განთავსება (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2021 წლის 12 აგვისტოს №გ-21-16/475 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „ტელეიმედის“ წინააღმდეგ მერი მელქაძის საჩივრის განხილვის თაობაზე“, გვ. 13).

35. აქედან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შინაარსი კონკრეტდება ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით და ამავე კანონის 56² მუხლით. შესაბამისად, მაუწყებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის იდენტიფიცირებისათვის უნდა გამოიკვეთოს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით გათვალისწინებული რომელი პროგრამა განთავსდა ეთერში ამავე კანონის 56¹ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული წყალგამყოფების დარღვევით. მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებზე მითითება ვერ გახდება მაუწყებლის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენის თვითკმარი სამართლებრივი საფუძველი.

36. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლის ამგვარი მიზანმიმართულება იკვეთება იმ საკანონმდებლო პაკეტის განმარტებითი ბარათიდანაც, რომლითაც ცვლილებები შევიდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში და განისაზღვრა მაუწყებლების არასრულწლოვანთათვის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის ვალდებულებები. „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ პროექტზე (№07-3/282/9, 13-02-2019) არსებული განმარტებითი ბარათის მიხედვით, „კოდექსის მეორე კარის მეცხრე თავი (62-68 მუხლები) ადგენს ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხებს, რაც გულისხმობს ბავშვის უარყოფითი სოციალური გარემო ფაქტორების გავლენისაგან დაცვას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე. ... ეს თავი აწესრიგებს ბავშვის დაცვას მედია სივრცეში, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მასმედიის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვები. შეზღუდვებს საფუძვლად უდევს ბავშვის ასაკობრივი ზღვარი და დღე-ღამის კონკრეტული დროის მონაკვეთი. ... სამაუწყებლო კომპანიები ვალდებული არიან ფილმების და გასართობი პროგრამების მაუწყებლობა მოახდინონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების საფუძველზე“.

37. ბავშვის უფლებათა კოდექსის მეორე კარის მეცხრე თავი (62-68 მუხლები) ადგენს ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხებს, რაც გულისხმობს ბავშვის უარყოფითი სოციალური გარემო-ფაქტორების გავლენისაგან დაცვას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე. მოწესრიგების სფერო მოიცავს ბავშვის დაცვას ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებებისაგან. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კერძო და საჯარო იურიდიული პირები ვალდებული არიან, დაიცვან ბავშვი ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების გამოყენებისაგან საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. დაუშვებელია ბავშვის შრომითი საქმიანობა ისეთ დაწესებულებაში, სადაც ხდება ალკოჰოლური სასმელების, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია. ეს თავი აწესრიგებს ბავშვის დაცვას მედია სივრცეში, რომლის ფარგლებშიც დადგენილია მასმედიის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვები. შეზღუდვებს საფუძვლად უდევს ბავშვის ასაკობრივი ზღვარი და დღე-ღამის კონკრეტული დროის მონაკვეთი. საჯარო კინოჩვენებებზე ბავშვი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვისათვის საჯარო ჩვენება დაშვებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე ან საქმე ეხება საინფორმაციო და საგანმანათლებლო შინაარსის ფილმებს და პროდუქტზე დატანილია მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ნიშანდება „საინფორმაციო“ ან „საგანმანათლებლო“. კოდექსით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულების მიხედვით, სამაუწყებლო კომპანიები ვალდებული არიან ფილმების და გასართობი პროგრამების მაუწყებლობა მოახდინონ შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდების საფუძველზე.



38. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტები ცალკე აღებული არ არის სამართლებრივი შედეგის წარმოშობისთვის თვითკმარ საფუძველი. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული გასაჩივრებული ნორმების მოქმედებით არ ხდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების, მე-2 პუნქტისა და მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით დაცულ სფეროებში ჩარევა, ასევე, ამ კონკრეტული სადავო ნორმებით სახეზე არ არის პასუხისმგებლობის დამდგენი ხასიათის შინაარსი, რის გამოც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს ისინი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

39. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტები არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებას, მე-2 პუნქტსა და მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებასა და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებას.

5. რა არის კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით გათვალისწინებული შესაფასებელი მოცემულობა და რამდენად განჭვრეტადია იგი

40. როგორც აღინიშნა, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლების გათვალისწინებით, მაუწყებელი ვალდებულია გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვნებისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის გავრცელების აღსაკვეთად. თუმცა დადგინდა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლი, ცალკე აღებული, არ წარმოშობს სამართლებრივი შედეგის თვითკმარ საფუძველს, არამედ იგი ჩაკეტილია ამავე კანონის 56² მუხლში განსაზღვრული წყალგამყოფი კრიტერიუმებით.

41. მოსარჩელის მიერ ასევე სადავოდ არის გამხდარი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტსა და მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებასთან მიმართებით. იმისათვის, რათა დადგინდეს, რამდენად კონსტიტუციურია ზემოხსენებული სადავო ნორმა, აუცილებელია, განისაზღვროს მისი შეზღუდვის შინაარსი და ფარგლები.

42. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს: ა) სქესობრივი აქტის, სექსუალური სცენის ან სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკულ გამოსახულებას; ბ) ისეთი სექსუალური ურთიერთობის ამსახველ სცენას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს ან რომელიც გაუკუღმართებული ფორმით ხორციელდება; გ) უხამს ქმედებას ან/და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია; დ) ძალადობის ამსახველ სცენას ახლო ხედით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან კომედიური ჟანრის პროგრამისა); ე) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სცენას, მისი დამზადების ან მოხმარების წესის ახსნა-განმარტებას და მოხმარების გამართლებას ან მოწონებას; ვ) თამბაქოს ან ალკოჰოლის მოხმარების გამართლებას ან მოწონებას; ზ) ნარკოტიკის, საინექციო ხელსაწყო, ნარკოტიკული ნივთიერების მომზადების ტექნოლოგიის ან გამოყენების პროცესის ახსნა-განმარტებას; თ) სცენას, რომელიც ეწევა თვითდასახიჩრების ან თვითმკვლელობის პროპაგანდას, აღწერს თვითმკვლელობის პროცესს ან საშუალებას; ი) იოლად ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო იარაღის (დანა, ნაჯახი და სხვა) ზიანის მისაყენებლად ან მკვლელობისთვის გამოყენების ამსახველ სცენას; კ) აზარტული თამაშობის ამსახველ სცენას, მისი პოპულარიზაციის ხელშემწყობ ინფორმაციას და ეწევა აზარტულ თამაშობაში მონაწილეობის პროპაგანდას მოგების მარტივად მიღების შთაბეჭდილების შექმნით; ლ) ინფორმაციას, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას დადებითად აფასებს ან კრიმინალს აიდებალებს; მ) ოკულტიზმის ან მსგავსი მოვლენის ამსახველ მასალას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს: ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სცენას ან სიუჟეტს; ბ) სიშიშვლეს სექსუალურ კონტექსტში, სექსუალურ სცენას ან მის გრაფიკულ გამოსახულებას; გ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კონტექსტით გამართლებულია; დ) ტერმინოლოგიას, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებასთან ან მის მოხმარებასთან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს: ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სცენას ან სიუჟეტს; ბ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, 7 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ სცენას ან სიუჟეტს, აგრეთვე მხატვრული, დოკუმენტური ან მულტიპლიკაციური ფილმი, რომელიც შეიცავს ამ ასაკობრივ ჯგუფზე ძლიერი ემოციური (ნეგატიური) გავლენის მომხდენი შინაარსის მქონე სცენას ან სიუჟეტს.

43. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს 56² მუხლი დაემატა საქართველოს 2020 წლის 21



მაისის №5921 კანონის საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შინაარსობრივი ნაწილი, რომლითაც გათვალისწინებულია პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები, პრაქტიკულად, იდენტურია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული მაუწყებლობის ქცევის კოდექსით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა. მაუწყებელთა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული წესები, მათ შორის, თავი XI - არასრულწლოვანთა დაცვა, ყველა მაუწყებლისათვის სავალდებულოდ შესასრულებელია 2009 წლიდან. ამავე თავის შესაბამისად, (მუხლი 45) მაუწყებლები ვალდებული არიან დაიცვან სამაუწყებლო პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები. სწორედ აღნიშნული კრიტერიუმები არის ასახული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში.

44. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსარჩელებს, რომლებიც, იმავდროულად, წარმოადგენენ მაუწყებლებს, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით არ გასჩენიათ რაიმე სახის არსობრივად ახალი ვალდებულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ვალდებულებები მაუწყებლებისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი იყო 2009 წლიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებლებს უკვე ჰქონდათ პრაქტიკაში იმპლემენტაციის ხანგრძლივი გამოცდილება და ეფექტიანი თვითრეგულირების პირობებში (როგორც თავად აღნიშნავენ სარჩელში) არაერთი განხილული საქმეც უნდა არსებობდეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისი თავით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულების პროცესში არსებული პრობლემების, მათ შორის, ნორმათა ბუნდოვანებისა და შესაბამისი ცვლილებების თაობაზე, მაუწყებელთა არც ერთი განცხადება კომუნიკაციების კომისიაში არ დაფიქსირებულა. ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ ტერმინთა ბუნდოვანების შესახებ მსჯელობა მხოლოდ მაშინ გახდა მოსარჩელეთათვის აქტუალური, როდესაც თვითრეგულირების წესი შეიცვალა და სანქციები განისაზღვრა მაუწყებლების მიმართ საკანონმდებლო დონეზე.

45. კონსტიტუციური სარჩელისა და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელთა განმარტებით, ბუნდოვანი ნორმების საფუძველზე დადგენილი სანქციები „მსუსხავ ეფექტს“ უქმნის მათ გამოხატვის თავისუფლებას, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მოთხოვნებთან. მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის პოზიციით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის ძალით, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება გამოხატვის წინარე პრევენცია ისეთი გამოხატვის საშუალებებთან მიმართებით, როგორცაა ტელემაუწყებლობა. უდავოა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიებით იზღუდება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება. გამოხატვის თავისუფლება კი არ არის აბსოლუტური და შეიძლება დაექვემდებაროს ცალკეულ შეზღუდვებს. შესაბამისად, შეზღუდვის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.

5.1. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების უფლების შეზღუდვის გამართლება

46. თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, „უფლების მზღლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსაძვინ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონჟესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

47. საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, იმისთვის რათა დადგინდეს, გათვალისწინებული შეზღუდვა შესაბამისობაშია თუ არა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უფლების შეზღუდვის გასამართლებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ადამიანის უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილება „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

5.1.1. შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი

48. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეაფასოს, არის თუ არა სახეზე ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომლის მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დასაშვებია



გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა.

49. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერში საქმეზე „„მპს მთავარი არხი“, „მპს ტელეკომპანია პირველი“, „მპს ტელეკომპანია კავკასია“, „მპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ნორმების მიზანს წარმოადგენს ბავშვის/არასრულწლოვნის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ინტერესები უაღრესად მნიშვნელოვანია და მათი დაცვა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, უდავოა, რომ მედია საშუალებების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, კერძოდ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად, კონსტიტუციურად გამართლებულია.

5.1.2. გამოსადეგობა და აუცილებლობა

50. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობა თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევა გამართლებულია, შეზღუდვის თანაზომიერებისათვის ასევე აუცილებელია, დაკმაყოფილებული იყოს გამოსადეგობის მოთხოვნაც. თავის მხრივ, ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას „საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილი უფლების შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-48). საკონსტიტუციო სასამართლომ ამავე საქმეზე მიღებულ საოქმო ჩანაწერში იმსჯელა რა სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების რელევანტურობაზე, იქვე აღნიშნა, რომ ბავშვის/არასრულწლოვნის ინტერესების სრულყოფილი დაცვა შეუძლებელი იქნება მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში. დასახელებული ინტერესების გარანტირებისათვის თვითრეგულირების ორგანო კი ვერ ჩაითვლება კომისიის მაკონტროლებელი ფუნქციების შემსრულებელ და მის ჩამნაცვლებელ ალტერნატიულ მექანიზმად.

51. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოსადეგობასთან ერთად შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს შეზღუდვის აუცილებელ (ყველაზე ნაკლებადმზღუდველ) საშუალებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26). თანაზომიერების პრინციპის საწინააღმდეგოა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ, მიუხედავად მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლების დაცვის უაღრესად დიდი მნიშვნელობისა, სადავო ნორმების მოქმედების პირობებში, მაუწყებლის გამოხატვის თავისუფლებაზე შესაძლო ნეგატიური ეფექტის მოხდენის საფრთხე ისევე, როგორც კომისიის მიერ სადავო ნორმების შესაძლო სუბიექტური განმარტების გზით მაუწყებლისთვის სანქციის სახით ჯარიმის დაკისრებით გამოწვეული ზიანი, ვერ გადაწონის იმ უმნიშვნელოვანესი სიკეთეების დაცვის მიზანს, რომელსაც სადავო ნორმები ემსახურება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„მპს მთავარი არხი“, „მპს ტელეკომპანია პირველი“, „მპს ტელეკომპანია კავკასია“, „მპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32).

5.1.3. პროპორციულობა ვიწრო გაგებით

52. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის ფარგლებში ასევე უნდა შეაფასოს დაცულია თუ არა პროპორციულობა ვიწრო გაგებით (*stricto sensu*). თანაზომიერების პრინციპის აღნიშნული ელემენტის მოთხოვნაა, რომ „უფლების შეზღუდვისას კანონმდებელმა დაადგინოს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43). განსახილველ საქმეზე ერთმანეთს უპირისპირდება, ერთი მხრივ, მაუწყებლების (კერძო კომპანიების) გამოხატვისა და მათი სარედაქციო თავისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის/არასრულწლოვნის დაცვა ისეთი ინფორმაციისაგან, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს, მათ შორის, მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, აგრეთვე, მის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას და სოციალიზაციას. საკონსტიტუციო სასამართლო აქვე შეაფასებს მოპასუხე მხარის მიერ დასახელებულ მეორე დამატებით ლეგიტიმურ მიზანს არასრულწლოვანთა მშობლების ინტერესებთან დაკავშირებით.

53. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვანი პირები ასაკის შესაბამისად საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობას, რათა დაცული იყოს მათი ინტერესები და



ექვეყნებში არ დადგეს მათი ნორმალური განვითარება. ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებია ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.

54. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, „არასრულწლოვანი პირების ზედამხედველობისა და აღზრდის კონტექსტში უაღრესად მნიშვნელოვანია მშობლების როლი. როგორც წესი, არასრულწლოვანი პირები თავისთავად არ ფლობენ საკუთარი თავის მოვლის სათანადო უნარებსა და შესაძლებლობებს. ისინი ექვემდებარებიან მშობლების მიერ ზედამხედველობას და მზრუნველობას, ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო არ ხერხდება მშობლების მხრიდან არასრულწლოვანი პირის მზრუნველობა, სახელმწიფო მისი ინტერესების დასაცავად, ნორმალური განვითარების ხელშესაწყობად, სათანადო მექანიზმებით უზრუნველყოფს მშობლის როლის ჩანაცვლებას. ასეთ ვითარებაში სახელმწიფო კისრულობს *parens patriae* ფუნქციას. ცხადია, ამა თუ იმ შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია სახელმწიფო მზრუნველობის ფორმები და მასშტაბები“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9).

55. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მიმართ კონსტიტუციური უფლებები სპეციფიკური სტანდარტებით ვრცელდება. მათი მოქმედების ფარგლები დამოკიდებულია თავად უფლების ხასიათსა და ურთიერთობის თავისებურებებზე. განსახილველ შემთხვევაში აუცილებელია, განისაზღვროს, რა ფარგლებში და რა პირობებით იცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული სხვათა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზანი ბავშვის/არასრულწლოვანის ინტერესებს, დაცულ იქნეს მისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან.

56. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე როგორც მოპასუხე მხარის, ასევე, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლისა და ექსპერტის განცხადებით, მშობელსა და სახელმწიფოს შორის გადანაწილებულია ვალდებულებები მაუწყებლისგან მომდინარე საფრთხის პრევენციის მიზნით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მშობელს, საკუთარი ნების მიუხედავად, სამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებს ამ კუთხით, არამედ ასეთ პოზიტიურ ვალდებულებას კისრულობს მხოლოდ სახელმწიფო, რათა ყველა შემთხვევაში მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში დაცულ იქნეს ბავშვის/არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები.

57. შესაბამისად, მაშინ როდესაც საკითხი ეხება გამოხატვის ისეთი საშუალების მეშვეობით [ტელემაუწყებლობა] წინარე პრევენციას, რომელმაც, დადგენილია, რომ მყისიერად შეიძლება მოახდინოს გავლენა არა მხოლოდ არასრულწლოვანზე, არამედ სრულწლოვანი საზოგადოების აზრის ფორმირებაზე, მით უფრო მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ამგვარი გავლენის ისეთ მოწყვლად ჯგუფზე, როგორცაა არასრულწლოვნები, მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარება, აგრეთვე, მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა და სოციალიზაცია.

58. როგორც აღინიშნა, სადავო ნორმები აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მაუწყებლებისათვის, რათა არ მოხდეს არასრულწლოვანთა ინტერესების დაზიანება. გასაჩივრებული ნორმები წარმოშობს ვალდებულებას, რომ სხვადასხვა ასაკის არასრულწლოვანისათვის შეუფერებელი პროგრამის განმსაზღვრელი კრიტერიუმებისა და დროის ინტერვალების დადგენით, მოხდეს ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან არასრულწლოვანის დაცვა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის კატეგორიები, ასევე დროითი ინტერვალები, რა პერიოდშიც არასრულწლოვანისათვის შეუფერებელი პროგრამის სამაუწყებლო ბადეში განთავსება დაუშვებელია, შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან ერთად. როგორც ზემოთ აღინიშნა, გასაჩივრებული დებულებები მანამდე იდენტური შინაარსით იყო დარეგულირებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, რომელიც, თავის მხრივ, „ოფკომის“ (დიდი ბრიტანეთის მარეგულირებელი კომისიის მიერ შემუშავებული მაუწყებლობის კოდექსი) სტანდარტებით იყო შემუშავებული. ამასთან, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია არგუმენტაცია, რომ დროის რომელიმე ინტერვალის არასწორად იყო ჩამოყალიბებული ან გარკვეული სახის ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანისთვის არ გამოიწვევდა მის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ზიანს. ის მხოლოდ ამ ტერმინთა ბუნდოვანებაზე აკეთებს აქცენტს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ ასეთი შეზღუდვების დაწესება, რომელსაც შედეგად მოჰყვება გარკვეული სახის სანქციები (რომელთა პროპორციულობაზე სასამართლო ცალკე იმსჯელებს), არის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზლუდავი, ეფექტიანი და პროპორციული საშუალება.

59. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლით გათვალისწინებულ პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის



მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან და მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან მათი განსაზღვრულობისა და შემზღვეველი ხასიათის გათვალისწინებით.

5.2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით

60. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ „ტერმინ „პასუხისმგებლობაში“ იგულისხმება ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობა. რაც შეეხება „პასუხისმგებლობის გაუქმებას“, აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ამა თუ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების სამართალდარღვევათა კატალოგიდან ამორიცხვა. შესაბამისად, ქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაწესება იქნება ამ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5). ამდენად, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტში გამოყენებული სიტყვა „სამართალდარღვევა“ გულისხმობს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მართლსაწინააღმდეგოა და რომლის საფუძველზეც, სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება, გამოიყენოს სანქცია, დამოუკიდებლად იმისა, იქნება ეს სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისა. ხოლო ამავე კონსტიტუციური ნორმის პირველი წინადადება ზოგადად მიუთითებს პასუხისმგებლობის რეტროაქტიულად დაკისრების დაუშვებლობაზე ისეთი ქმედებისათვის, რომელიც ამ ქმედების ჩადენის მომენტში სამართალდარღვევად არ იყო განსაზღვრული (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6).

61. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი იმას, რომ „პასუხისმგებლობა იქაა, სადაც სახეზეა სამართალდარღვევა“ და, ამდენად, ქმედების ex post facto სამართალდარღვევად განსაზღვრა ადამიანის (პირის) კონსტიტუციურ უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის საფუძველს ქმნის. კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის აღნიშნული წინადადებები „...ორგანულ ერთიანობას ქმნიან და უზრუნველყოფენ, რომ სამართალდარღვევა, რომელიც პასუხისმგებლობის საფუძველია და თავად პასუხისმგებლობა ამ სამართალდარღვევის გამო, როგორც სახელმწიფოს მიერ გატარებული იძულებითი ღონისძიებების ერთობლიობა, იქნება იმგვარი, როგორც ამას განსაზღვრავდა სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3).

62. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის გასაჩივრებული 56² მუხლი ნათლად განსაზღვრავს პროგრამათა კატეგორიების კრიტერიუმებს. შესაბამისად, ამ ნაწილში ნორმის განჭვრეტადობის პრობლემა არ დგას (სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვის შინაარსის თაობაზე იხილეთ 40-45 პარაგრაფები). საკმარისი სიცხადითაა განსაზღვრული ის, თუ, არასრულწლოვანთა ინტერესებიდან გამომდინარე, რა ტიპის პროგრამათა გადაცემის აღკვეთა სურს კანონმდებელს და რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება აღნიშნული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე დაადგინა ამ კონკრეტული სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა, როგორც შეზღუდვის გამართლების, ასევე კანონის განჭვრეტადობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელე მხარის არგუმენტაციაც მიემართება არა უშუალოდ და მხოლოდ ამ ნორმის განჭვრეტადობის საკითხებს, არამედ ამ ნორმის საფუძველზე შესაბამისი სანქციის დაწესების მიზანშეწონილობას. ამას ადასტურებს მათი აპელირება იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ნორმები მაუწყებლებს აიძულებს, უწყვეტ კოორდინაციაში იყვნენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და, სანქციის შიშით, წინასწარ დააზუსტონ მათ მიერ გადაცემული პროგრამის ან პროგრამაში განთავსებული მასალის შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის ხარისხობრივ კრიტერიუმებს და არა იმას, თუ რომელი ქმედებისთვის არის დასაშვები პასუხისმგებლობის დაწესება. ვინაიდან „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლი განსაზღვრავს მაუწყებლის ეთერში მხოლოდ პროგრამათა კატეგორიების კრიტერიუმებს, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტი კი უშუალოდ მიემართება ამ კრიტერიუმების შეუსრულებლობისთვის დაწესებული პასუხისმგებლობისთვის კანონის ხარისხობრივი მოთხოვნების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, ცალკე აღებული, სადავო ნორმის დასახელებულ კონსტიტუციურ ნორმასთან მიმართებით შეფასება შეუძლებელია.

63. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლთან მიმართებით საკითხის კონსტიტუციურობის შეფასებისას, არ გამოკვეთილა ისეთი ხელშესახები არგუმენტი, რომლის საფუძველზეც, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა კანონის ხარისხობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილება, მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით კონსტიტუციურობის შეფასების



აუცილებლობის წინაშე.

6. ტელემაუწყებლობის ზემოქმედება არასრულწლოვანზე და წინასწარი შინაარსობრივი შეზღუდვის გამიჯვნა „ცენზურისაგან“

64. მოცემულ საქმეში არსებული გადასაწყვეტი საკითხი ფართო მასშტაბიანია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, იმსჯელოს გამოხატვის საშუალებაზე, კერძოდ, ტელემაუწყებლობაზე, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სრულწლოვანი საზოგადოების და, აგრეთვე, არასრულწლოვანთა აზრის ფორმირებაზე. ზოგადად, მედიას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეპოქაში იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენის მოხდენაც შეუძლია მას საზოგადოებაზე. სამყაროში, სადაც საზოგადოების წევრები, როგორც ტრადიციული ასევე ელექტრონული საშუალებებით, ყოველდღიურად აურაცხელ ინფორმაციას იღებენ და სადაც, ფაქტობრივად, ყოველდღიურად ჩნდება ინფორმაციის გავრცელების ახალი საშუალებები, მედია არა მხოლოდ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას, არამედ შეუძლია უკარნახოს საზოგადოებას, თუ როგორ შეაფასოს მიწოდებული ინფორმაცია.

65. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა, რომ აუდიოვიზუალურ მედიას გაცილებით დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოებაზე, ვიდრე ბეჭდურ მედიას. აუდიოვიზუალურ მედიას, ბეჭდური მედიისგან განსხვავებით, შეუძლია გამოსახულებით გაავრცელოს ინფორმაცია. ტელევიზია და რადიო, როგორც დროის გატარების საყოველთაოდ ცნობილი საშუალებები, სახლის პრივატულ გარემოში კიდევ უფრო დიდ გავლენას ახდენენ მაყურებლებსა და მსმენელებზე.

66. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ არ არსებობს დემოკრატია პლურალიზმის გარეშე. თავის მხრივ, დემოკრატია ვითარდება გამოხატვის თავისუფლებით. დემოკრატიის არსი კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მრავალფეროვანი და განსხვავებული პროგრამები გადაიცემოდეს, მათ შორის, ისეთი პროგრამები, რომლებიც განსხვავებულ მოსაზრებათა ირგვლივ შექმნის ჯანსაღი დისკუსიის გამართვის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ასეთი პროგრამების ტრანსლირება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მათი გადაცემა საფრთხეს არ უქმნის თავად დემოკრატიას. იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნამდვილი პლურალიზმი აუდიოვიზუალური მედიის სფეროში, მხოლოდ რამდენიმე არხის არსებობა არ არის საკმარისი. ასევე, არ არის საკმარისი იმის თეორიული შესაძლებლობის არსებობა, რომ აუდიოვიზუალური მედიის ბაზარზე სხვადასხვა ოპერატორები შეიძლება იქნენ დაშვებული. აუცილებელია, რომ არსებობდეს რეალური შესაძლებლობა და მექანიზმები, რომლებიც მრავალფეროვანი და განსხვავებული მედიის არსებობას უზრუნველყოფენ ამ ბაზარზე.

67. თუმცა აღსანიშნავია, რომ ძლიერი ეკონომიკური ან პოლიტიკური ჯგუფების მიერ აუდიოვიზუალურ მედიაზე გავლენის დამყარება, რაც, საბოლოოდ, მაუწყებელზე ზეწოლით და სარედაქციო თავისუფლების შეზღუდვით მთავრდება, ძირს უთხრის სიტყვის თავისუფლებას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ისეთ სენსიტიურ სფეროში, როგორცაა აუდიოვიზუალური მედია, სახელმწიფოს (ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად - არ ჩაერიოს მედია საშუალებების საქმიანობაში) ეკისრება პოზიტიური ვალდებულება - შექმნას ისეთი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს პლურალიზმს ამ მიმართულებით. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან მარეგულირებელი ჩარჩო, გაატარონ ფინანსური ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება მედიის გამჭვირვალობისა და სტრუქტურული პლურალიზმის, ასევე, ამ მედია საშუალების მიერ გადაცემული პროგრამების, ამ პროგრამებში განთავსებული მასალების მრავალფეროვნების უზრუნველყოფისკენ.

68. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ყურადსაღებია სადავო ნორმებით დადგენილი კრიტერიუმების შინაარსი, ის სამართლებრივი სიკეთე, რომლის დაცვასაც ემსახურება ისინი, სადავო ნორმების სუბიექტები, რომლებიც კერძო ავტონომიისა და ფართო მიხედულების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო იმ აზრისაა, რომ, მართალია, ყველა სახის პროგრამა/გადაცემა და მასში ასახული ინფორმაცია თავისუფლად უნდა ვრცელდებოდეს, თუმცა არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მაუწყებელთა პროგრამების გავრცელებაზე შეზღუდვების დაწესება უნდა მომდინარეობდეს საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთებიდან.

69. ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის განხილვის ფარგლებში, საკითხი დგას იმგვარად, რომ აუცილებელია პასუხი გაეცეს მოსარჩელეთა აპელირებას სადავო ნორმების მოქმედების შედეგად მათი გამოხატვის თავისუფლებაზე ცენზურის მაკორექტირებელი ეფექტის მოხდენასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლო არ დგას ცენზურის ამომწურავი განმარტების საჭიროების წინაშე. არამედ ამ საქმის გადაწყვეტის მიზნებისთვის, აუცილებელია დადგინდეს, დაუშვებელ/შეზღუდული ფორმით დასაშვებ გადაცემათა/პროგრამათა გავრცელების შეზღუდვა ითვლება თუ არა ცენზურად საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით.

70. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ცენზურა“ კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადების გაგებით, მართალია, ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს გარკვეული



შინაარსის ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას, მაგრამ იგი, უწინარესად და უმთავრესად, გულისხმობს ინფორმაციის წინასწარი, რეგულარული შემოწმების სისტემას, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო შემზღუდავი ღონისძიების გამოყენების საფუძველზე ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობის მინიჭებას უქვემდებარებს პრევენციული კონტროლის მექანიზმებს გარკვეულ საფრთხეთა აცილების მიზნით [მათ შორის, არასრულწლოვანთათვის საფრთხის შემქმნელი ინფორმაციის გავრცელებისგან დაცვის მიზნით]. კერძოდ, ასეთ დროს, კონკრეტული სახის ინფორმაცია მის გამოქვეყნებამდე გადის შესაბამის შინაარსობრივ ფილტრს სახელმწიფოს, რომელიმე ინსტიტუციის ან მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან და ამგვარი წინასწარი შემოწმების შედეგად ხდება ინფორმაციის გავრცელებაზე თანხმობის გაცემა ან უარის თქმა ან/და ინფორმაციის შესაბამისად მოდიფიცირების დავალება. შესაბამისად, კონსტიტუციით მოაზრებული „ცენზურის“ აკრძალვა გულისხმობს გენერალურ აკრძალვას, რომლის პირობებშიც დაუშვებელია შინაარსობრივად შეუმოწმებელი ინფორმაციის თავისუფლად და საჯაროდ გავრცელება უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინასწარი თანხმობის გარეშე და რომელიც მიზნად ისახავს თავისუფალი სიტყვის, ინფორმაციის თავისუფალი ცირკულაციის შეზღუდვას გარკვეული იდეოლოგიური, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა მოსაზრებებით. იგი შეიძლება გულისხმობდეს აგრეთვე იმგვარი სისტემის არსებობას, სადაც დანერგულია დასახელებული სუბიექტების წინაშე მასმედიის საშუალების ერთგვარი არაფორმალური ანგარიშვალდებულება საკითხზე, გადაიცეს თუ არა ან რა ფორმით, ესა თუ ის ინფორმაცია. ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების ამგვარი შეზღუდვა კონსტიტუციით აკრძალულია და მისგან უკანდახევა ნებადართული არ არის (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„მპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25).

71. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ „კონკრეტული სახის ინფორმაციის გავრცელებისა და მისი თავისუფალი ცირკულაციის წინასწარი აკრძალვა ყოველთვის როდია „ცენზურა“. მაგალითად, აკრძალულია სახელმწიფო, კომერციული, პირადი საიდუმლოს ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელება, მაგრამ ეს ცხადია, არ წარმოადგენს „ცენზურას“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის გაგებით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/7/1483 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„მპს საინფორმაციო ცენტრების ქსელი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26).

72. ამდენად, იმისთვის, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასოს ცენზურის დაუშვებლობის შესახებ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, მოსარჩელემ, უწინარესად, უნდა მიუთითოს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის იმგვარი შემაკავებელი მექანიზმის არსებობაზე, რომელიც ზღუდავს ინფორმაციის პირველად გასაჯაროებას იმგვარად, რომ საჯაროდ გავრცელებას დამოკიდებულს ხდის ზედამხედველი პირის შესაბამის ნებართვაზე და ინფორმაციის მიმართ მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე.

73. მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ სადავო ნორმები ემსახურება ღირებული საჯარო ლეგიტიმური მიზნის დაცვას. ამასთანავე, მაუწყებლების მიერ სადავო ნორმებით დადგენილ ვალდებულებათა დარღვევისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია სანქციის გამოყენების შესაძლებლობა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთი რეგულირება მართლაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ერთგვარი კონტროლის საჭიროებას ტელემაუწყებლების მიმართ, რამდენადაც კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ითვალისწინებს კონკრეტულ სამართლებრივ სანქციას. თუმცა ცენზურის ფენომენთან ამგვარი ზედაპირული, ფრაგმენტული და არაარსებითი მსგავსების გამო, სადავო შეზღუდვები ვერ იქნება მიჩნეული „ცენზურად“, რომელიც აკრძალულია ყოველ დემოკრატიულ ქვეყანაში და რომელიც კონტროლის სპეციალური სისტემებისა და ბერკეტების მეშვეობით, სახელმწიფო ჩინოვნიკების მიხედულებას უქვემდებარებს იმის განსაზღვრას, თუ რომელი ინფორმაცია გავრცელდეს და რომელი არა, რომელი ინფორმაციაა ზიანის მომტანი და რომელი არა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სადავო ნორმით დადგენილი წესი საერთოდ არ ითვალისწინებს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის მიერ ინფორმაციის გავრცელებამდე მასზე წინასწარი შინაარსობრივი ზედამხედველობის შესაძლებლობას. შედეგად, სადავო ნორმებში მითითებული ინფორმაციის გავრცელება დაქვემდებარებული არ არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მიერ ნებართვის გაცემაზე. შესაბამისად, სარედაქციო თავისუფლების გამოხატვის ამგვარი ხასიათის წინარე შეზღუდვა, მით უფრო იმ საჯარო ინტერესის უზრუნველყოფის მიზნით, რომელსაც არასრულწლოვანთა დაცვა წარმოადგენს, ვერ იქნება კლასიკური გაგებით ცენზურის მაკორექტირებელი ეფექტის მომხდენი.

74. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული სადავო ნორმები არ ქმნის ცენზურის მაკორექტირებელ ეფექტს მაუწყებელთა გამოხატვის თავისუფლებაზე. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლო არ დგას სადავო ნორმების, კონსტიტუციურობის, სხვა მხრივ, შეფასების აუცილებლობის წინაშე.

7. აკმაყოფილებს თუ არა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული



სანქციები განჭვრეტადობისა და პროპორციულობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს

75. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის გასაჩივრებული ნორმები ითვალისწინებს, მაუწყებლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის გამო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებლისთვის შესაბამისი სანქციის დაკისრების შემთხვევაში. მოსარჩელეთა წარმომადგენლების განმარტებით, ისინი სადავოდ არ ხდიან გათვალისწინებული სანქციის არსებობა/არარსებობის ან/და პროპორციულობის საკითხს, არამედ მათთვის პრობლემურია კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის გამო ბუნდოვანი სანქციები, ასევე, მოსალოდნელი სანქციის შიშით „მსუსხავი ეფექტის“ მოქმედების შედეგად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები.

76. ამგვარად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დგას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმატიული შინაარსის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით შეფასების საჭიროების წინაშე. გამოსარკვევია აგრეთვე ის, ქმნის თუ არა ამგვარი ნორმების მოქმედება ე.წ. „მსუსხავი ეფექტის“ მაუწყებელთა გამოხატვის თავისუფლებაზე.

77. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საჭიროა მხოლოდ სადავო ნორმის შინაარსის იდენტიფიცირება და მათი კონსტიტუციურ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოგადად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მიზანია შესაბამისი მაუწყებლის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის აღმოფხვრა ან/და პრევენცია. მოსარჩელეთა წარმომადგენლების განცხადებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის სადავო წინადადებები და პუნქტები ადგენს ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, მაუწყებლის სანქცირების ზოგადი წესისაგან განსხვავებულ, უფრო მკაცრ წესს. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სადავო ნორმები არ ითვალისწინებს მაუწყებლის გაფრთხილების ვალდებულებას. უფრო კონკრეტულად, დარღვევისათვის, პირველ ჯერზე, გათვალისწინებულია ჯარიმა და მაუწყებლისთვის დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულების დაკისრება, ხოლო ერთი წლის განმავლობაში ამავე მუხლებით დადგენილი ვალდებულების დარღვევისას კანონი ითვალისწინებს მაუწყებლისთვის ლიცენზიის მოქმედების შეჩერებას.

78. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება განსაზღვრავს მხოლოდ კომისიის უფლებამოსილებას, განიხილოს საკითხი მაუწყებლის მიერ კანონმდებლობის დარღვევის ან კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსით არსებული თვითრეგულირების ფარგლებში კანონმდებლის დასახული ლეგიტიმური მიზანი არათუ შეუსრულებელი რჩებოდა, არამედ საერთოდ უგულვებელყოფილი იყო. სწორედ თვითრეგულირების დოკუმენტის ფარგლებში არსებულმა სამართლებრივმა რეალობამ განაპირობა მათი პრაქტიკაში გამოუსადეგარობისა და კანონმდებლობაში მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მხოლოდ კომისიისთვის მინიჭების აუცილებლობა.

79. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას მაუწყებელი გააფრთხილოს წერილობით. ზოგადად, გაფრთხილების უფლებამოსილების არსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს კომისიის ან ნებისმიერი იმ უწყებისთვის, რომელიც კანონმდებლობის დარღვევისთვის რეაგირებს, რათა ინდივიდუალური საქმის გარემოებებიდან და იმ მიზნიდან გამომდინარე, რასაც დაწესებული შეზღუდვები ემსახურება, მიიღოს პროპორციული და ინტერესთან შეწონადობაზე დაფუძნებული დაბალანსებული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 წინადადება განსაზღვრავს მაუწყებლის მიმართ სანქციის გამოყენების მიზანს – შესაბამისი მაუწყებლის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის აღმოფხვრას ან/და პრევენციას. თუმცა ისეთ შემთხვევაზე, როგორცაა მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვნის დაცვა (56¹ მუხლი) და არასრულწლოვნებისთვის პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმების (56² მუხლი) დარღვევა, არ ვრცელდება კომისიის უფლებამოსილება, რომ მან გამოიყენოს გაფრთხილება. შესაბამისად, ამ დროს მოქმედებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-2 და შემდეგი პუნქტები, რომლის თანახმად, მსგავსი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია ვალდებულია, საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, განიხილოს შესაბამისი დარღვევის საკითხი და დააჯარიმოს მაუწყებელი.

80. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ექვზარეშა, ჯარიმის დაკისრება და შესაბამისი დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება, უფრო მეტად ზღუდავს მოსარჩელე მხარეს, ვიდრე წერილობითი გაფრთხილება, რომელიც შესაძლოა მიჩნეული იყოს უფრო ნაკლებად მზღუდავ საშუალებად. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო კვლავ გაამახვილებს ყურადღებას გასაჩივრებული ნორმების ლეგიტიმურ მიზანთან მათ ლოგიკურ და რაციონალურ კავშირზე.



სასამართლომ ამ გადაწყვეტილების ზემოხსენებულ პუნქტებში უკვე იმსჯელა და დაადგინა, რომ არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან და ღირებულ საჯარო ინტერესს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ, ამ კუთხით, სახელმწიფო სარგებლობს რა ფართო მიხედვლების ფარგლებით და კონსტიტუციური სტანდარტების გათვალისწინებით, უფლებამოსილია დააწესოს ლეგიტიმურ მიზანთან ობიექტურ, ლოგიკურ და რაციონალურ კავშირში მყოფი გონივრული შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა განხილული ყოფილიყო საჯარო ლეგიტიმურ მიზნებთან კორელაციაში და არავითარ შემთხვევაში – მათგან განცალკევებით.

81. ამავედროულად, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ, თუკი კანონმდებელი სანქციის ერთ-ერთ მიზნად დარღვევის პრევენციას ითვალისწინებს, დაუშვებელია გაფრთხილება მივიჩნიოთ ისეთ ეფექტიან მექანიზმად, რომელიც თავიდან ააცილებდა არასრულწლოვნებს მსგავს საფრთხეს. ამასთან, თუკი პრევენციის მიზანი ეფექტიანად ვერ იქნებოდა მიღწეული, არასრულწლოვნების შემთხვევაში მავნე ზეგავლენა და ამ ზეგავლენით გამოწვეული შედეგი შეუქცევად სახეს მიიღებდა, რაც გამოუსწორებელი ზიანის სახით იარსებებდა, კანონმდებლის მიერ მიღებული ნორმები კი ილუზორული და ფორმალური იქნებოდა.

82. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლის მიერ დარღვევის აღმოსაფხვრელად და მისი პრევენციისთვის დაწესებული ჯარიმა, როგორც სანქციის სახე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მძიმე ჩარევად მოსარჩელეთა გამოხატვის თავისუფლებაში. ზემოთ განვითარებული მსჯელობა ცხადყოფს, რომ ჯარიმა არის ერთადერთი ყველაზე ნაკლებად მზღლდავი საშუალება დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული რეგულირება „მსუსხავ ეფექტს“ ქმნის მოსარჩელეთა სარედაქციო თავისუფლებაზე.

83. ამასთანავე, მნიშვნელოვანია სადავო ნორმების განჭვრეტადობის საკითხიც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კანონმდებელი აკრძალულ ქმედებათა განსაზღვრისას არეგულირებს ურთიერთობათა ფართო სპექტრს და საკანონმდებლო აქტში გამოყენებული ტერმინები მოითხოვს განმარტებასა და ფაქტობრივი გარემოებებისადმი მისადაგებას. შესაბამისად, შეუძლებელია, თავიდან იქნეს არიდებული შედარებით ზოგადი, ინტერპრეტირებადი თუ კონკრეტული სფეროსათვის დამახასიათებელი ცნებებისა თუ ტერმინების გამოყენება. შედეგად, კანონმდებლობის, მათ შორის, პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების შინაარსის აღქმა რთულდება და საჭირო ხდება იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარება. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების მიმართ წაყენებული მკაფიოობის მოთხოვნა არ გულისხმობს, რომ კანონმდებლობა არ უნდა შეიცავდეს კომპლექსურ ფორმულირებებს, შეფასებით ცნებებს, რომ ის დაცლილი უნდა იყოს ნებისმიერი ტექნიკური ან ზოგადი ტერმინისგან და იმგვარად იყოს ჩამოყალიბებული, რომ დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე იყოს გასაგები ნებისმიერი ადამიანისათვის. პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განჭვრეტადობის კონსტიტუციური მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მის ადრესატს შეუძლია სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა, მათ შორის, იურისტებისა და სხვა სფეროს სპეციალისტების დახმარებით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13).

84. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმებით დადგენილი პასუხისმგებლობები უნდა აკმაყოფილებდეს კანონის ხარისხობრივ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ პრაქტიკაში ხორციელდება აღნიშნულ პასუხისმგებლობათა ცხადად და განჭვრეტადად გამოყენება. ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობისა და შეფარდებული სანქციის კანონიერების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ საერთო სასამართლოები. ამავედროულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებზე დაყრდნობით, კომისია ნებისმიერი სამართალდარღვევის საკითხს განიხილავს საჯარო სხდომაზე, ადმინისტრაციული წარმოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების სრული დაცვით, მათ შორის, ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობითა და მათი მოსაზრებებისა და პოზიციების მოსმენის გათვალისწინებით.

85. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის, ისეთი ქმედითი მექანიზმი, როგორიც არის კომისიის გადაწყვეტილებებზე სასამართლოს კონტროლი, ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად გამოირიცხება მოსარჩელეთა მიერ სადავოდ გამხდარი ნორმების ბუნდოვანებასთან დაკავშირებული კითხვები. ამას ნათელს ხდის ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეთა წარმომადგენლების განცხადებით, საქმის არსებითი განხილვის პერიოდისთვის მათ არ უსარგებლიათ გასაჩივრების მექანიზმით და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები არ გაუსაჩივრებიათ საერთო სასამართლოებში.

86. საყურადღებოა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მხოლოდ კომისიას აქვს ლიცენზიის მოქმედების შეჩერების/ავტორიზაციის შეჩერების ან



ლიცენზიის/ავტორიზაციის გაუქმების უფლება. აღნიშნული სადავო შინაარსი ნათლად განსაზღვრავს კომისიის მიერ მაუწყებლისთვის შესაბამისი უფლებამოსილების მოქმედების შეჩერების ან გაუქმების უფლებას. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში 1 წლის განმავლობაში ამ კანონის 56¹ ან 56² მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელს უჩერდება ლიცენზიის მოქმედება. განსახილველ საქმეზე მოსარჩელე ტელეკომპანიები სამაუწყებლო საქმიანობას არ ახორციელებენ სამაუწყებლო ლიცენზიის საფუძველზე. ისინი არიან ავტორიზებული სუბიექტები. სადავო ნორმის მე-6 პუნქტი არ არის არსებითად განსახილველად მიღებული, ცალკე აღებული მე-5 პუნქტი კი განჭვრეტადობის თვალსაზრისით, მკაფიოდ იძლევა როგორც ლიცენზიის, ასევე ავტორიზაციის შეჩერებისა თუ გაუქმების უფლებამოსილების შესაძლებლობას.

87. აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი, მე-2, მე-3, მე-5 წინადადებები და მე-5 პუნქტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და მე-2 პუნქტთან, ასევე 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

88. რაც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის თანახმად, კომისია ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა, თუ მან ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრა გაფრთხილებაში აღნიშნული დარღვევა ან არ შეასრულა კომისიის გადაწყვეტილება, აგრეთვე თუ მან ამ გაფრთხილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში ჩაიდინა ახალი დარღვევა, აღნიშნული ნორმა არ მიემართება მაუწყებლებს, რომლებიც ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლების მოთხოვნებს არღვევენ. მათ მიმართ უშუალოდ გამოიყენება მხოლოდ ამავე მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ უკვე იმსჯელა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო მიზანშეუწონლად მიიჩნევს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობის შეფასებას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან და მე-2 პუნქტთან, ასევე, 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით. ამავდროულად, მოსარჩელეთათვის პრობლემური იყო მხოლოდ ბავშვის უფლებათა კოდექსიდან და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი სადავო ნორმებიდან გამომდინარე ისეთ პროგრამათა გადაცემის შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ არასრულწლოვანთა დაცვის მიზანს მიემართებოდა და არა, ზოგადად, სრულწლოვანთათვის განკუთვნილ პროგრამათა განმსაზღვრელი კრიტერიუმების დარღვევისთვის - შესაბამის სანქციებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ირელევანტურია, სასამართლოს მხრიდან სადავო ნორმის შეფასება განხორციელდეს იმ საკითხზე, რომელზე მსჯელობაც საქმის არსებითი განხილვის დროსაც არ განვითარებულა. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეთა აპელირების გათვალისწინებით, მოკლებულია შესაძლებლობას ზოგადად იმსჯელოს წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ჯარიმის დაკისრების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც წერილობითი გაფრთხილება არ მიემართება ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლების მოთხოვნების დარღვევას.

7.1. ვრცელდება თუ არა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციები პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაზე

7.1.1. რამდენად აკმაყოფილებს კონსტიტუციურ სტანდარტებს მაუწყებლისთვის სანქციის დაკისრება პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გავრცელებული ისეთი ინფორმაციის გამო, რომელიც საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს

89. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოხსენებული მსჯელობის შესაბამისად, უკვე დაადგინა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 წინადადებები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებასთან, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლით გათვალისწინებული სანქციები, ზოგადი თვალსაზრისით, არ ქმნის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დაბალ სტანდარტს, რის გამოც, ამ კუთხით, მათი არაკონსტიტუციურად ცნობა საფუძველს მოკლებულია.

90. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო მაინც დგას იმის შეფასების აუცილებლობის წინაშე, ვრცელდება თუ არა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციები პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას ამავე კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევებზე. წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამის პუნქტებში საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად განმარტა



„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების მოქმედების შინაარსი და ფარგლები. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით, დამატებით უნდა იქნეს განხილული ის მოცემულობა, ვრცელდება თუ არა მაუწყებლებზე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი ასაკობრივი ნიშანდებებისა და წყალგამყოფი კრიტერიუმების დაცვის ვალდებულებები პირდაპირი ეთერის მიმდინარეობის დროსაც.

91. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება სამაუწყებლო პროგრამებზე. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, პროგრამა არის პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემული ტელერადიოპროდუქცია. კანონმდებლობა არ ავიწროებს მაუწყებლის ვალდებულებებს მხოლოდ ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემულ ტელერადიოპროდუქციაზე. ეს ვალდებულება ასევე არ არის შემოფარგლული იმ შემთხვევით, როდესაც არასრულწლოვნისათვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის გავრცელება ხდება უშუალოდ მაუწყებლის წარმომადგენლის (მაგალითად, წამყვანის) მიერ. პირდაპირ ეთერში პროგრამის გადაცემისას მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს პროგრამის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა. მაუწყებლის აღნიშნული ვალდებულება ასევე გარკვეული პირობებით ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როდესაც არასრულწლოვნისათვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაცია პირდაპირ ეთერში ვრცელდება მესამე პირების მიერ.

92. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლების გათვალისწინებით, მაუწყებელი ვალდებულია გაატაროს გონივრული და ეფექტიანი ღონისძიებები არასრულწლოვნებისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის/მოსაზრების გავრცელების აღსაკვეთად. ასეთ გონივრულ ღონისძიებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პროგრამის პირდაპირ ეთერში გადაცემის შეჩერება ან პროგრამის წამყვანის (ან მაუწყებლის სხვა წარმომადგენლის) ინტერვენცია, რომლის ფარგლებში წამყვანი შეაწყვეტინებს მესამე პირს (სტუმარს, რესპონდენტს) არასრულწლოვნისთვის მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის/მოსაზრების გავრცელებას და გაემიჯნება მის შინაარსს. ასეთივე ეფექტიანი და გონივრულ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს სათანადო ტექნოლოგიური გადაწყვეტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფს პირდაპირი ეთერით გასული გადაცემის დაყოვნების შესაძლებლობას (ე.წ. „Broadcast delay“) და მაუწყებელს შესაძლებლობას მისცემს რეალურ დროში ჩაერიოს და ეთერში არ განათავსოს ისეთი პროგრამა/პროგრამის ნაწილი, რომელიც არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

93. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ და 56² მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება როგორც პირდაპირ, ასევე ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემულ ტელერადიოპროდუქციაზე და მოიცავს ნებისმიერი ტიპისა და კატეგორიის პროგრამას. გარდა ამისა, მაუწყებელს აქვს ვალდებულება, გაატაროს სათანადო ეფექტიანი და გონივრული ღონისძიებები, რათა აღიკვეთოს არასრულწლოვნებზე მავნე ზეგავლენის მომხდენი ინფორმაციის ეთერში გავრცელება, როგორც მაუწყებლის წარმომადგენლების (მაგალითად, წამყვანის), ისე მესამე პირების (მაგალითად, რესპონდენტების) მიერ.

94. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაფასებელი მოცემულობაა ის, თუ რამდენად აკმაყოფილებს გათვალისწინებული სანქციები პირდაპირ ეთერში, წინასწარ განუჭვრეტელი შემთხვევებიდან გამომდინარე, გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციით დადგენილ გონივრულ ბალანსს დასახულ ლეგიტიმურ მიზანსა და შეზღუდულ ინტერესს შორის. ამასთანავე, იძლევა თუ არა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული შინაარსი მაუწყებლის მიერ იმის შესაძლებლობას, პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას, წინასწარ სრულყოფილად განჭვრიტოს მოსალოდნელი რისკები და უზრუნველყოს ამ რისკების გადაზღვევა სხვადასხვა საშუალებებით, რათა თავიდან აიცილოს არასრულწლოვანთათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის/მოსაზრების ეთერში გასვლა და შესაბამისი სანქციები.

95. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მაუწყებლობა წარმოადგენს ინფორმაციის მიღების პრიორიტეტულ საშუალებას ფართო საზოგადოებისთვის, რაც შესაძლებლობას აძლევს მათ, მოუსმინონ და დააკვირდნენ ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ჩვეულებისამებრ, ის [პირდაპირი მაუწყებლობა] აგრეთვე მოიცავს სამაუწყებლო არჩევანისა და ფილტრაციის ელემენტებსაც, თუმცა მაინც განსხვავდება ბეჭდური მედიის გაშუქებისგან. სწორედ ამიტომ, გასათვალისწინებელია, რომ პირდაპირი მაუწყებლობის დროს რესპონდენტის განცხადებები, მოსაზრებები და, ზოგადად, პირდაპირი მაუწყებლობის დროს გაჟღერებული ესა თუ ის ინფორმაცია დაუყოვნებლივ, რეალურ დროში გადაიცემა ეთერში და, მამასადამე, საჯაროვდება, რის გამოც, post factum, შეუძლებელია მათი კორექცია, შეცვლა და, მით უმეტეს, დაბლოკვა. თუმცა მყისიერი რეაგირების საშუალებები მაინც არსებობს, მაგალითად, ჟურნალისტს, რომელიც ინტერვიუს იღებს რესპონდენტისგან, შეუძლია, პასუხის მოსმენისთანავე, რომელიც ბავშვისთვის საზიანო ინფორმაციას შეიცავს, დააკომენტაროს გამოთქმული განცხადებები და გაემიჯნოს მათ. ასევე, მაუწყებელს აქვს საშუალება გარკვეული ფორმით მყისიერად მოახდინოს



რეაგირება ეკრანზე შესაბამისი მითითებების, მორბენალი სტრიქონის ან სხვა გზით.

96. თუმცა, მიუხედავად გარკვეული მყისიერი რეაგირების შესაძლებლობის არსებობისა, ძნელია იმის უარყოფა, რომ პირდაპირი ეთერის დროს მართლაც რომ დაბალია იმის რეალური საშუალება, მაუწყებლის წარმომადგენელმა ყოველთვის წინასწარ განჭვრიტოს მოსალოდნელი მოვლენები პროგრამის გადაცემის დროისა და ადგილის გათვალისწინებით, რის გამოც არსებობს იმის რეალური მოლოდინი, რომ მაუწყებლისგან დამოუკიდებლად, პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გადაცემაში მოხვდეს ისეთი განცხადებები, სიუჟეტები თუ მოვლენები, რომლებიც ნამდვილად უქმნის საფრთხეს არასრულწლოვანთა ინტერესებს, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მათ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სოციალიზაციას.

97. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირდაპირი ეთერის დროს მაუწყებელი, რედაქცია თუ ცალკეული ჟურნალისტები არ თავისუფლდებიან მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან, ყურადღებით შეისწავლონ გასაშუქებელი საკითხები, რამდენადაც შესაძლებელია, განჭვრიტონ მოსალოდნელი რისკები, რათა ნებისთინ თუ უნებლიედ არ გახდნენ ბავშვის ინტერესებისათვის საზიანო კონტენტის გამავრცელებლები. აგრეთვე, სადაც შესაძლებელია, მყისიერად გაემიჯნონ ამგვარ ინფორმაციასა და მოსაზრებებს და გააკეთონ გამაფრთხილებელი მითითებები. თუმცა სასამართლო იმასაც აღიარებს, რომ ეს შეიძლება ყოველთვის არ იყოს განხორციელებადი და მაუწყებელმა ობიექტური მიზეზების გამო, ვერ აიცილოს თავიდან გადაცემის პირდაპირ ეთერში მიმდინარეობისას ყველა შესაძლო საფრთხე, რის გამოც მაუწყებელი, სავარაუდოდ, გახდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის შესაბამისი სანქციის სუბიექტი. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარ შემთხვევაში, ოღონდ იმ პირობით, თუკი დადგინდა, რომ მაუწყებელმა განახორციელა, გამოხატვის თავისუფლებისაგან განუყოფელი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, სიფრთხილის ყველა ღონისძიება, მათ შორის, შეასრულა ის ვალდებულებებიც, რომლებიც უშუალოდ მედიის საშუალებებს ეკისრებათ მათი დიდი თავისუფლების დასაბალანსებლად, გამორიცხული უნდა იყოს მაუწყებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. კანონმდებელმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს წინასწარ განუჭვრეტელი შემთხვევების გამო პასუხისმგებლობის დაკისრების ალბათობა მედია საშუალებისათვის, რომელიც პასუხისმგებლობით მოეკიდა საკითხს და, შესაბამის გარემოებებში, მიმართა სიფრთხილის ყველა შესაძლო ღონისძიებას.

98. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მაუწყებლისთვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვნისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის/მასალის პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გადაცემისათვის ისეთ პირობებში, როდესაც მაუწყებელმა შესაბამის გარემოებებში სიფრთხილის ყველა შესაძლებელი ღონისძიების მიმართვის მიუხედავად, ვერ განჭვრიტა და არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ამგვარი მასალის ეთერში მოხვედრის შესაძლებლობა, არ აკმაყოფილებს გამოხატვის თავისუფლების უფლებით დადგენილ კონსტიტუციურ სტანდარტებს. ამავდროულად, სწორედ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების აღნიშნული ნორმატიული შინაარსი ქმნის ისეთ გავლენას მაუწყებელთა გამოხატვის თავისუფლებაზე, რომ პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გავრცელებული ინფორმაციის გამო მოსალოდნელი სანქციის შიშით, ვერ განახორციელონ თავიანთი სარედაქციო პოლიტიკა კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში.

99. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მაუწყებლისთვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვნისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის/მასალის პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გადაცემისათვის ისეთ პირობებში, როდესაც მაუწყებელმა შესაბამის გარემოებებში სიფრთხილის ყველა შესაძლებელი ღონისძიების მიმართვის მიუხედავად, ვერ განჭვრიტა და არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ამგვარი მასალის ეთერში მოხვედრის შესაძლებლობა, არაკონსტიტუციურია და ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

III

სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 43-ე და 45-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო



ა დ გ ე ნ ს:

1. კონსტიტუციური სარჩელი №1537 („შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს მაუწყებლისთვის სანქციის დაკისრების შესაძლებლობას არასრულწლოვნისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის/მასალის პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას გადაცემისათვის ისეთ პირობებში, როდესაც მაუწყებელმა შესაბამის გარემოებებში სიფრთხილის ყველა შესაძლებელი ღონისძიების მიმართვის მიუხედავად, ვერ განჭვრიტა და არ შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ამგვარი მასალის ეთერში მოხვედრის შესაძლებლობა.

2. არ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი №1537 („შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბავშვის უფლებათა კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56¹ მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების, 56² მუხლისა და 71-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 წინადადებებისა და მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, მე-2 პუნქტთან, მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან და 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

3. არ დაკმაყოფილდეს კონსტიტუციური სარჩელი №1537 („შპს მთავარი არხი“, „შპს ტელეკომპანია პირველი“, „შპს ტელეკომპანია კავკასია“, „შპს ფორმულა“, ირაკლი სალინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის პირველ და მე-2 წინადადებებთან მიმართებით.

4. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ამ გადაწყვეტილების საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

5. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

6. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

7. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

8. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის წევრები:

ვასილ როინიშვილი

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

გიორგი კვერენჩხილაძე

